საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 10 იანვარი, 2015 წელი.

№4 (7649)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

საფრანგეთის 11 სექტემბერი...

ჟურნალისტები სულაც არ არიან ხელშეუხებელნი!

პარიზში სატირულ ჟურნალ „შარლ ებდოს“ რედაქციაზე მუხანათური თავდასხმა ღრმა მწუხარებასა და თანადგომასთან ერთად, ფრიად სერიოზულ ფიქრებს აღძრავს ამ მასშტაბური, ლამის ნიუ იორკის 11 სექტემბრის ტერაქტის ტოლფარდი ტრაგედიის მიზეზებზე.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ნებისმიერი ჟურნალისტი, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ეთიკისა და ზნეობის ნორმებს არ უნდა გასცდეს. სწორედ ამისკენ მოგვიწოდებს ჟურნალისტთა საერთაშორისო ეთიკის ქარტიაც, მაგრამ... ამჟამინდელ „შეშლილ“ მსოფლიოში ჟურნალისტთა ქარტია კი არა, კონსტიტუციებიც (ცალკეული ქვეყნების მთავარ იდეოლოგიურ და სამართლებრივ ნორმებს ვგულისხმობ!), ფარატინა ქაღალდია და არავინ ემორჩილება.

ჟურნალისტიკა, პუბლიცისტიკა, სატირა და იუმორი, მხატვრული სიტყვა (ზოგადად და კონკრეტულად) მაშინ გაუფასურდა, როცა კულტურულ, ესთეტიკურ, ადამიანში ადამიანის აღზრდის უკეთილშობილეს სფეროს გასცდა და მთავარ მიზნად ფუყე პოპულარობა, უზრუნველი ცხოვრება, კაპიტალის დაგროვება აქცია.

გულწრფელად თანავუგრძნობთ პარიზში დაღუპული ჟურნალისტებისა და სხვა უდანაშაულო ადამიანების ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, მაგრამ სულით ხორცამდე შემძრა ჟურნალის მთავარი რედაქტორის ორი თუ სამი წლის წინათ (მუქარის შემდეგ რედაქციის შენობა დაწვეს!) ნათქვამმა სიტყვებმა: ჩვენ ვერ შეგვაშინებენ, ისევ პროვოკაციის გზით ვივლით, შანტაჟი და პროვოკაცია ჩვენი მთავარი ჟურნალისტური იარაღია...

მართალია, ეს თითქმის დაუჯერებელი სიტყვები მსოფლიოს თითქმის ყველა ტელეარხმა (მათ შორის, ქართულმაც) გადმოსცა, მაგრამ მე არამც და არამც არ მინდა დავიჯერო, რადგანაც ეს სიტყვები დღეს მსოფლიოს დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი მთავარი მტრის „ალ ქაიდას“ და მისი ფანატიკოსი მებრძოლების პირდაპირი გამოწვევაა.

იხ. 2 გვ.

საფრანგეთი დაღუპულებს გლოვობს

⊙ ულოცავენ ჭეშმარიტ მკურნალს

ძვირფასო ფრიდონ,



ყოველთვის, როდესაც შენთან შეხვედრის შანსი მეძლევა, ჩემო ფრიდონ, თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ, რადგან ვხედავ, რომ ფიზიკურად და გონებრივად ბრწყინვალე ფორმაში ხარ, რაც შენი ისეთი შთამბეჭდავი პროექტების განხორციელების საშუალებას გაძლევს, როგორიც, მაგალითად, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტია, რომლის მსგავსზეც სხვა ადამიანები ვერც კი იოცნებებდნენ!

შენი ოჯახი, თანამშრომლები და აგრეთვე შენი სამშობლო – საქართველო – უნდა ამაყობდნენ, რომ შენი სახით ასეთი გამორჩეული ადამიანი, მეოჯახე, ექიმი, მეცნიერი, ლიდერი, მშენებელი, ბიზნესმენი, პოლიტიკოსი, დიპლომატი, ჰუმანისტი და გულისხმიერი ადამიანი ჰყავს!

ვამაყობ შენი მეგობრობით!

საუკეთესო სურვილებით,
შენი
რენე რინმიულერი
გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის პროფესორი.

იდღეგრძელეთ ხალხის საიმედოდ!

დიახ, უწინარესად და უმთავრესად, სწორედაც რომ, ჩვენი ხალხის საიმედოდ იდღეგრძელეთ, ბატონო ფრიდონ, რათა თქვენი უიშვიათესი კაცთმოყვარე გულითა და ღვთის შეწევნით დიდხანს გეკეთებინოთ ის დიდი საქმე, თქვენი თავკაცობით თქვენი ინსტიტუტის მაღალპროფესიონალი კოლექტივი რომ ემსახურება.

უღრმესი პატივისცემით გილოცავთ
„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

ბრავო, ბატონო ფრიდონ!

9 **იანვარი** სახელგანთქმული ექიმის, აკადემიკოს **ფრიდონ თოდუას** დაბადების დღეა.

შარშან ამ დროს, 70 წლისთავი მივულოცეთ მას და წარმატებები ვუსურვეთ...

ამ ერთი წლის მანძილზე ამ ღვთისნიერმა კაცმა ბევრი კეთილი საქმე გააკეთა და თავის მიერვე დაარსებული ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ათეულობით ადამიანს „აუკრძალა“ ავადმყოფობა და გააგრძელებინა ჯანმრთელი სიცოცხლის გზაზე მოძრაობა. სასიხარულოა ეს!

უშუალოდ ბატონი ფრიდონის ძალისხმევით ინსტიტუტმა მკურნალობის ახალი მეთოდები დანერგა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სხივური თერაპიის მიმართულება. ინსტიტუტმა შეიძინა უნიკალური აპარატურა, რომლის ანალოგები დგას ევროპის ცნობილ კლინიკებში, ხოლო ასეთი აპარატურა ამიერკავკასიის სამკურნალო ცენტრებს ჯერ არ გააჩნიათ.

გერმანელ კოლეგებთან ერთად უკვე ასობით ადამიანმა გამოსცადა ეს სიახლე. მარტო ერთი ფაქტი: ამ აპარატურით მკურნალობის კურსის ღირებულება ევროპაში აღწევს 100 ათას ევროს, ხოლო „თოდუას კლინიკაში“ 15-ჯერ ნაკლები ჯდება, რამეთუ ამ კლინიკის საქმიანობა აშკარად გამოკვეთილ სოციალურ ორიენტაციას ატარებს. უბრალო ენით თუ ვიტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ სურვილის შემთხვევაში, ავადმყოფს აღარ მოუწევს უცხოეთში სამკურნალოდ წასვლა და ამის გამო უსაშველო თანხების მოძიებისთვის ნერვიულობა. საქმეში ჩახედული ადამიანებისთვის ცხადზე ცხადია, თუ რას ნიშნავს ეს ასობით სასოწარკვეთილი ადამიანისთვის.

ბრავო, ბატონო ფრიდონ!

ბრავო, რამეთუ ღირსეული კაცია იგი, საიმედო, დასაყრდენი და საამაყო!

სწორედ ამიტომ, დაბადების დღეს ულოცავს „რეპორტიორი“, რომლის ახალგაზრდა ჟურნალისტები გრძნობენ ამ ჩინებული ექიმისა და მისი კოლეგების ადამიანურ სითბოსა და მზრუნველობას.

მრავალჟამიერ, ექიმო!!!

რეპორტიორი.გე

როცა წლები მართლაც სიმდიდრეა



6

ზურაბ ადეიშვილი შეიძლება, უკრაინის გენპროკურორის მოადგილედ ან პროკურორის მრჩევლად დაინიშნოს?

8

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

საფრანგეთის 11 სექტემბერი...

ჟურნალისტები სულაც არ არიან ხელშეუხებელნი!

(პირველი გვერდიდან)

სიტყვა არის ღმერთი! სიტყვა ღმერთია ქრისტიანისთვისაც და მუსლიმანისთვისაც. ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც სიტყვის ძალით ესაუბრებიან და ეფერებიან არა მარტოოდენ ღმერთს, არამედ სხვა წმინდანებსაც.

ბიბლიაც და ყურანიც თანაბრად ქადაგებს სიკეთეს, სიყვარულს, საკუთარ თავში ღმერთის პოვნის დაუოკებელ სურვილს.

სიტყვით მკვლელობა, რიგითი ცოდვილებისგან ნებისმიერი სიწმინდის შეურაცხყოფა ყოვლად დაუშვებელია. კეთილი სიტყვა ქვეყნის აღმაშენებელია, ავი, ბოროტი სიტყვა კი — დამანგრეველი.

ეს ანბანური ჭეშმარიტება საუკუნეებით გამოცდილი სიბრძნე და სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ჯანსაღი ურთიერთობის ქვაკუთხედია.

უძველესი კულტურისა და განათლების მქონე საფრანგეთის დედაქალაქში ეს აღმაშფოთებელი ტერაქტი არ უნდა მომხდარიყო.

ევროპის ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი ქვეყანა, 65 მილიონიანი მოსახლეობით (აქედან 8-9 პროცენტი, ანუ თითქმის 6 მილიონი მუსლიმანია!) ერთი თუნდაც მებრძოლი, პრინციპული, უშიშარი ჟურნალის უტაქტობის, სხვა რელიგიის მიმდევართა სიწმინდეების გაშარჟების გამო მსოფლიო ომში არ უნდა ჩაბმულიყო.

ის, რაც ამ დღეებში ხდება პარიზსა და მთელ საფრანგეთში, სამწუხაროდ, მსოფლიო ომის ნაწილია, ახალი მუსულმანური სახელმწიფო ღიად დაუპირისპირდა საფრანგეთსაც!

ვერავინ ვერ დამარწმუნებს იმაში, რომ ფრანგული სატირული ჟურნალის „თავისუფალი სიტყვა“ ამ გლობალურ საშინელებად ღირდა.

ერთობ არაგონივრულად მეჩვენება მსოფლიო ლიდერების „მტკიცე განცხადებები“ ჟურნალისტთა ხელშეუხებლობის თაობაზე. ეს, წლების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით ცხელ წერტილებში დაღუპული ათობით და ასობით ჟურნალისტის ახლობლებისადმი თანაგრძნობის გამომხატველი ცარიელი სიტყვებია.

თანაც, ყოვლად წარმოუდგენელია ჟურნალისტი ხელშეუხებელი იყოს. ის უმძიმესი და ურთულესი პროფესიის მსახურია და მთელი ცხოვრება იბრძვის (ყოველ შემთხვევაში, უნდა იბრძოდეს!) ადამიანთა უფლებების დასაცავად, საქვეყნო საქმის ხელშესაწყობად, მშვიდობისა და თანასწორობის დასამკვიდრებლად, ეროვნული ფასეულობების სარანგად.

ამ ამოცანების აღსასრულებლად მართლაც უმძიმესი შრომაა საჭირო. გოლგოთაზე ასვლა კი პროფესიული ტანჯვა-წამების გარეშე წარმოუდგენელია.

...მართლაც რა პატარაა სამყარო. პარიზის ტერაქტმა მთელი მსოფლიო, მათ შორის საქართველოც შეძრა.

ეს მერამდენედ აგვაფორიაქა და დაგვზაფრა სამყაროს რელიგიურმა დაპირისპირებამ!

ვისწავლით კი ჭკუას? ეჭვი მეპარება, თუმცაღა, იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ:

სიტყვა არის ღმერთი და მას მეტი გაფრთხილება უნდა!..

სპარტაკ ქოზულია

◎ რჩევა

ლაშა ამირეჯიბი: ბატონო პრემიერო, გააქარწყლეთ თქვენს გარშემო აგორებული ჭორები!

საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ლაშა ამირეჯიბი, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს ფინანსური მონიტორინგის კომისიის შექმნის ინიციატივით მიმართავს და გარკვეულ რჩევებსაც აძლევს.

ბატონო პრემიერო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ნიშნული სადღაც ნულიდან ერთამდე მერყეობს, მივესალმები თქვენს იდეას საგარეო პოლიტიკის კომისიის შექმნასთან დაკავშირებით. კომისიაში არაერთ საინტერესო ადამიანსაც მოვკარი თვალი, რაც ძალიან სასიხარულოა.

მინდა, შემოგთავაზოთ კიდევ ერთი კომისიის შექმნის იდეა, რომელიც საზოგადოებაში მოარულ ეჭვებსაც გააქარწყლებს და საქმესაც კეთილად წაადგება.

გთავაზობთ, თქვენი მეთაურობით შეიქმნას ფინანსური მონიტორინგის კომისია, რომელიც საზოგადოებას გამჭვირვალე ინფორმაციას მიაწვდის სატენდერო პერიპეტიებთან დაკავშირებით. დიახ, აღნიშნული კომისია დაადგენს, თუ რა ხდება გამოცხადებულ ტენდერებში, რამდენად გამართულია იგი და რა ხარისხით მიმდინარეობს სატენდერო სამუშაოები — არსებობს თუ არა დარღვევები, გვაქვს თუ არა საქმე ე.წ. კორუფციულ სქემასთან, რაზეც ასე აქტიურად საუბრობენ საზოგადოებაში.

აღნიშნული კომისიის სწორი დასკვნა გააქარწყლებს საზოგადოებაში არსებულ ეჭვებს ე.წ. ტენდერებში თქვენი და თქვენი უახლოესი გარემოცვის ჩართულობის შესახებ.

დიახ, სწორი და გამართული დასკვნა კვლავ მოაბრუნებს საზოგადოებას თქვენსკენ — ხალხს თქვენდამი ნდობა გაუძლიერდება!

ვფიქრობ, საზოგადოება უნდა დაარწმუნოთ იმაში, რომ თქვენ ბ-ნო პრემიერო, არავითარი კავშირი არა გაქვთ და არც გქონიათ ე.წ. კორუფციულ გარიგებებთან!

კარგად გვახსოვს, თუ რამდენი სახელმწიფო ჩინოვნიკის „თავი გაგორდა“ ამ ბოლო ხანებში. სამწუხაროდ „მოკვეთილი თავები“ თქვენს პერსონასთან იყო ასოცირებული, მეტიც, მას „კახურ ვერტიკალსაც“ კი უწოდებენ.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ კარს მოგვადგა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. „ქართული ოცნების“ კრახის შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობა თქვენ გაგამტყუნებთ და დღევანდელი ხელისუფლების არასასურველი პოლიტიკური ძალებით ჩანაცვლება ქვეყანასაც არსებით პრობლემებს შეუქმნის.

ბ-ნო პრემიერო, მიიღეთ ჩემი მეგობრული და ამავე დროს კეთილი რჩევა: შექმენით ფინანსური მონიტორინგის კომისია, რომელიც გამოავლენს იმ დარღვევებს თუ დანაშაულებს, რომელსაც შეიძლება ჰქონოდა ადგილი იმ ყბადაღებულ ტენდერებში და მომავალში მსგავს უწესრიგობებსაც აღკვეთს!

პატივისცემით
ლაშა ამირეჯიბი

◎ სასამართლო

ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ცხედრებზე ჩატარებული ექსპერტიზის ამსახველი ვიდეო სასამართლოზე გასაჯაროვდება

სასამართლოზე შესაძლოა, ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ცხედრებზე ჩატარებული ექსპერტიზის ამსახველი ოთხსაათიანი ვიდეო აჩვენონ. საქმის პროკურორის განმარტებით, ვიდეომასალა, რომელიც ექსპერტიზის პროცესს ასახავს, ოთხსაათიანია და მომდევნო პროცესზე, თუ საშუალება იქნება, მოხდება აღნიშნული ვიდეოს დათვალიერება.

ვიდეომასალის ჩვენება სავარაუდოდ, დახურულ დარბაზში მოხდება. მომდევნო სასამართლო პროცესი ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპით გაგრძელდება. ყოფილი პრემიერ-მინისტრის საქმეზე ბრალდებული ლევან ჩაჩუას პროცესზე ბრალდების მხარის სამი მოწმე დაიკითხა, მათ შორის — ერთი ექსპერტიზის ბიუროს ყოფილი სანიტარი და ორი გამომძიებელი.

სასამართლო პროცესზე ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე აქამდე უცნობი ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი გახდა ცნობილი. სასამართლოზე ბრალდების ერთ-ერთი მოწმე, გამომძიებელი კახა ჭუმბაძე დაიკითხა. პროცესზე დაკითხვისას დაცვის მხარე დაინტერესდა, ნახა თუ არა შემთხვევის ადგილზე ტყავის ჩანთა, რადგან გამომძიებელი ჭუმბაძე ყოფილი პრემიერის გარდაცვალების საქმეზე იმ პერიოდში საგამოძიებო ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

ყოფილმა გამომძიებელმა შემთხვევის ადგილზე ჩანთის არსებობა დაადასტურა, რის შემდეგაც ბრალდებულ ჩაჩუას ადვოკატმა მას შეკითხვით მიმართა — იყო თუ არა ჩანთა დათვალიერებული და ნახა თუ არა ჩანთაში პარიკი. აღნიშნულზე მოწმემ უპასუხა, რომ ჩანთა დათვალიერების შედეგად ნანახი ჰქონდა. მოწმის ჩვენების მიხედვით, ჩანთა დათვალიერების გარეშე შეიფუთა და არ ახსოვს კონკრეტულად რა იდო ჩანთაში. თავად ლევან ჩაჩუამ კი, ამ კონკრეტულ საკითხზე საუბარი დახურულ სხდომაზე მოითხოვა, თუმცა მოსამართლემ სხდომის დახურვის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

საქმეში არსებულ ჩანთის ირგვლივ კომენტარის გაკეთება არ ისურვა საქმის პროკურორმა. როგორც რევაზ ნადოიმ პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა, აღნიშნული ჩანთა ამ საქმეს არ ეხება და, შესაბამისად, ვერანაირ კომენტარს ვერ გააკეთებს. სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, ლევან ჩაჩუას ადვოკატმა ზურაბ ტაბიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ დასკვნით სიტყვას მომდვნო სასამართლო პროცესზე იტყვის.

სასამართლო პროცეზე ასევე დაიკითხა ექსპერტიზის ბიუროს სანიტარი არჩილ ჭიკაძე, რომლის განმარტებით იგი ექსპერტიზის პროცესს ესწრებოდა ზურაბ ჟვანიას ცხედარს და ბალზამირება გაუკეთა. მისივე განცხადებით, ჟვანიას ცხედრის დათვალიერების დროს მას ტუჩზე დაზიანება შეენიშნებოდა. პროკურორი რევაზ ნადოის კითხვაზე, იცოდა თუ არა მოწმემ, რომ გაზით გაგუდვის შემთხვევაში ბალზამირება არ უნდა გაეკეთებინათ ცხედრისთვის, მოწმემ აღნიშნა, რომ არ იცოდა.

საქმის პროკურორის რევაზ ნადოის განმარტებით,ზურაბ ჟვანიას ცხედარს, მისი გაგუდვის ეჭვის არსებობიდან გამომდინარე, ბალზამირება არ უნდა ჩატარებოდა. როგორც პროკურორმა აღნიშნა, როდესაც ასეთი ეჭვი არსებობს, ექსპერტებიც ადასტურებენ, რომ ბალზამირების პროცესი არ უნდა ჩატარდეს.

„ბრალდებული ჩაჩუა ჩვენებებში ადასტურებდა, რომ ჟვანიას და უსუპოვის გვამების დათვალიერებისას პროცესს მასთან ერთად ესწრებოდნენ სანიტრები. დაიკითხა ერთ-ერთი სანიტარი არჩილ ჭიკაძე, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა, რომ არც შესაბამისი განათლება, არც ცოდნა და არც ვალდებულება არ ჰქონდა დაეთვალიერებინა გვამები და დაეფიქსირებინა საეჭვო უბნები. ასევე მან განაცხადა, რომ არ ჰქონდა უფლება განესაზღვრა ესა თუ ის უბანი იყო თუ არა დაზიანებული. მან განმარტა, რომ ეს იყო მხოლოდ ბრალდებულ ჩაჩუას მოვალეობა და პრეროგატივა.

მოწმემ ისიც განმარტა, რომ მან შეასრულა მხოლოდ ტექნიკური სახის მოქმედებები, კერძოდ, გვამის გაკვეთა, თავის ქალის ტრეპანაცია და გვამის მოწესრიგება, ანუ გაკერვა. სხვა დაზიანებების დათვალიერების განსაზღვრა კი იყო მხოლოდ ექსპერტის მოვალეობა. სხვა ექსპერტებმაც განმარტეს, რომ ჟვანიას შემთხვევაში, როდესაც არსებობდა მოწამვლის ეჭვი, ბალზამირების გაკეთება დაუშვებელი იყო. სანიტარმა კი განმარტა, რომ უშუალოდ ლევან ჩაჩუას დავალებით მან ზურაბ ჟვანიას გვამს ჩაუტარა ბალზამირება“, — განუცხადა ჟურნალისტებს რევაზ ნადოიმ.

მისივე განცხადებით, გამორიცხულია, რომ ზურაბ ჟვანიასთან ერთად გარდაცვლილ რაულ უსუპოვს მკერდის არეში ნაჩხვლეტები ბალზამირების შედეგად ჰქონოდა. რევაზ ნადოის განცხადებით, უსუპოვის ცხედარს, მისი ეთნიკური წარმომავლობიდან გამომდინარე, ბალზამირება საერთოდ არ ჩატარებია. მისივე თქმით, საქმეში არსებობს ვიდეომტკიცებულება, სადაც ასევე ასახულია უსუპოვის ცხედარზე დაზიანებები.

„ვიდეო გადაღებულია ჩაცმული გვამის ექსპერტიზაზე მიყვანის შემდეგ. როდესაც ტანსაცმელს ხდიან, გვამზე, კერძოდ მკერდზე არავითარი პროცედურა დაწყებული არ არის, მაგრამ ჩანს ნაჩხვლეტები. ეს ვიდეომასალა გავუშვით სასამართლოში. უსუპოვის განბანაში მონაწილე მოლებმაც დაადასტურეს, რომ ეს ის ნაჩხვლეტებია, რომლებიც მათ შენიშნეს.

ეს ნაჩხვლეტები სხეულზე ექსპერტიზამდე არსებობდა, ბრალდებულმა ექსპერტმა ჩაჩუამ კი, არაჯეროვნად ასახა დასკვნაში სხეულზე არსებული დაზიანებები. როდესაც საუბარია პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებაზე, იქ უნდა ყოფილიყო დეტალური აღწერა, რაც ჩაჩუას არ გაუკეთებია“, — განაცხადა რეზო ნადოიმ.

თამთა ძარჩავა

პოეტური რკალი პოლიტიკურ პამფლეტად

ციკლიდან „დროის იეროგლიფები

დაღონებულო, კენტო აულო,
მიტოვებულო და უკაცურო,
მინდა, მარტვილი გაგემცნაურო
და შენთან ერთად ცრემლი დავწურო.
გაბრიელ ჯაბუშანური.

Uაბრიელ ჯაბუშანური და კავკასიური მთლიანობის, ერთიანობის იდეა – კიდევ ერთი მომხიბლავი და ნოყიერი თემა როგორც პირწმინდად მხატვრულ-ესთეტიკური თვალთახედვით, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზანსწრაფვით.

უკვე იწერება ამ მიმართულებით კვლევა-ძიების პირველი ფურცლები.

და ამ სწრაფვასა და განწყობილებას ეხმაურებოდა ჩემი იმპროვიზებული გამოსვლაც ივანე ჯავახიშვილის თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის სცენაზე, გაბრიელ ჯაბუშანურის დაბადებიდან 100 წლისთავი რომ აღინიშნა 2014 წლის 25 დეკემბერს.

ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული ყოფის მოუწესრიგებლობის, სახელმწიფოებრივი კონცეფციის არარსებობის ბრალია, რომ ეს თარიღი სათანადოდ არ გახმაურდა, ამ დიდებულ პოეტსა და პიროვნებას როგორც შეჰფერის, რათა ყველასათვის ცხადი და საჩინო შეიქნას მისი მწერლური ღვაწლიც და ზნეობრივი სიმაღლეც, და მისმა სახელმა და პოეტურმა სტრიქონებმა იტრიალოს საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

მაგრამ სულ უჩუმრადაც არ ჩაუვლია და „ჩვენი მწერლობის“ მიზანმიმართულ პუბლიკაციებს – ხალხისათვის ამ თარიღის შესახსენებლად – მოჰყვა ეს ჩინებული დაგვირგვინება იმ უნივერსიტეტის კედლებში, გაბრიელისათვის ასერიგად ძვირფასი რომ გახლდათ იქ გატარებული წლები და შეჭირვებულ სულს სტუდენტობისდროინდელი მოგონებებით ითქვამდა.

საღამოს დასრულების შემდეგ მეგობრებმა მირჩიეს, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუკი ეს სიტყვა გაიშიფრებოდა საქართველოს ფოლკლორის ცენტრის მიერ გადაღებული ვიდეომასალიდან და ცალკეც დაიბეჭდებოდა.

ბოლოს და ბოლოს, თუ რაიმეა დღეს ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, სწორედ კავკასიური ერთიანობის ირგვლივ დაუმცხრალი, დაუღალავი ლაპარაკი, რომელსაც ადრე თუ გვიან კიდეც უნდა მოჰყვეს ამ იდეის ხორცშესხმა.

თორემ უამისოდ...

სიტყვას გამოქვეყნების წინ მხოლოდ ოდნავ გავკარი ხელი, რათა ზეპირმეტყველების თავისებურება არ დარღვეულიყო.

* * *

ბევრგვარი ლიტერატურული რეიტინგ-ლისტი შედგენილა საქართველოში და არავის გამოუტოვებია ვაჟა-ფშაველა. ეს ბუნებრივიცაა. და როცა თავის რეიტინგლისტს ადგენს გაბრიელ ჯაბუშანურიც, ისიც ახსენებს ვაჟას და ახსენებს ასეთ კონტექსტში: „ვარ ერთი თასმა ვაჟას ქალმნისა!“ და ეს გამოთქმა მას ძალიან ბევრს ავალებდა, ავალებდა უპირველესად იმას, რომ შეენარჩუნებინა ნამდვილი პოეზია, შეენარჩუნებინა ლირიზმი საზარელ ეპოქაში, რომელიც შანთით დევნიდა ბუნებრივ, ადამიანურ განცდებს, და ამის გამო კი კულუარებში მოქცეულიყო.

მაშინ ლიტერატურული საჭე ხელთ ეპყრათ სულ სხვა ადამიანებს, მათ, ვინც სულს უხუთავდნენ ლიტერატურას, და დღესაც ზოგიერთს აცხადებენ დიდ მწერლად. ყავლი გასდის ამ ყველაფერს, თუმც ყალბისმქმნელები ებღაუჭებიან ყველანაირად, უნდათ, რომ საბჭოური ნორმები და სტანდარტები კვლავაც შეინარჩუნონ, მაგრამ ის ბობოლები, თავისი დროის ბობოლები, მიექანებიან უფსკრულში და წინ მოდის უკვე სულ სხვა სახელები და მათ შორის გაბრიელ ჯაბუშანურისა.

ადამიანი, რომელმაც გაატარა ცხოვრება კულუარებში, დღეს დგას ავანსცენაზე. რა თქმა უნდა, ასეთი რამ თავისთავად არ ხდება, ამას სჭირდება პატრონი, გზის გამკვალავი. ქალბატონმა ეთერ თათარაიძემ რომ ბრძანა, გაბრიელ ჯაბუშანური ჩვენს ოჯახში წევრივით იყოო, ეს მართლაც ასე გახლდათ, რადგანაც ამირან არაბულმა შვილის ამაგი დასდო გაბრიელის სახელის წამოწევას და დამკვიდრებას ქართულ სამწერლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თვალსაჩინო ღვაწლი რომ მიუძღვის, დღეს თუ ვლაპარაკობთ გაბრიელ ჯაბუშანურზე, როგორც მნიშვნელოვან მოვლენაზე XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, მის პოეტურ თავისებურებებზე, ამ მხრივ ლომის წილი ბატონი ამირანისაა.

ერთი მაინც განსაკუთრებით მინდა გამოვარჩიო მის დამსახურებათაგან. ის კრებული, რომელიც ქალბატონმა ეთერმაც ახსენა და ძალიან მღელვარედაც გვესაუბრა მისი შექმნის გარემოებებზეც – „ჰოი, ღილღოს დაღრუბლული ცაო“, და რომლის ხელმეორე გამოცემასაც ახლახან შეესხა ხორცი ინგუში ქველმოქმედის გილან ხალუხაევის თანადგომით.

ამ სახით ეს კრებული არ არსებობდა, ეს პოეტური ციკლი თუ რკალი არ არსებობდა. ეს ლექსები გაბრიელს მიმოფანტული ჰქონდა სხვადასხვა კრებულში, ზოგიც – გამოუქვეყნებელი, მიწერილი იყო ფანქრით წიგნების გარეკანზე.

ბატონმა ამირანმა არა მარტო ეს გაკრული ხელით მიწერილი ლექსები გაშიფრა და გადმოიტანა, არამედ გაერთიანა, თავი მოუყარა და დაინახა ის, რასაც შეიძლება გაცნობიერებულად არც ფიქრობდა გაბრიელ ჯაბუშანური. არადა, ეს იყო გამოკვეთილი ლირიკული ციკლი, რკალი მართლაც მოზარის დაწერილი. როცა გადაასახლეს ჩეჩნები, გადაასახლეს ინგუშები შუა აზიაში, უნდოდათ, რომ მოესპოთ ამ ხალხის გასაგისი. თუ ვინმეს სჯეროდა, რომ ისინი აუცილებლად დაბრუნდებოდნენ, მათ შორის უპირველესად ხევსურებს და გაბრიელ ჯაბუშანურს, რომელთაც მოუარეს, შეინახეს ის სახლ-კარი, შეუნახეს ინგუშებს და, როცა ისინი დაბრუნდნენ გადასახლებიდან, დაახვედრეს ხელუხლებელი, რადგანაც გაგრძელებულიყო ცხოვრება და გაგრძელებულიყო სიცოცხლე და ეს ყველაფერი დაფუძნებულიყო ადამიანურ სიყვარულზე, და კავკასიურ ერთიანობასა და მთლიანობაზე.

ამ იდეითაც იყო შთაგონებული ეს ლირიკული ციკლი, და ეს იდეა ძალიან კარგად გამოკვეთა ამირან არაბულმა, რომელმაც ეს პოეტური რკალი აქცია უკვე პოლიტიკურ პამფლეტად.

დღეს ასე წარმოგვიდგება ეს წიგნი და ამ მხრივაც არის ძალიან საგულისხმო და მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ თუ საქართველოს უნდა, მართლა სახელმწიფო იყოს, მარტო კუდიმდევრად კი არ ახლდეს სხვა სახელმწიფოებს, არამედ მართლაც ძლევამოსილი ქვეყანა იყოს, ეს იქნება ერთადერთ შემთხვევაში – როცა მთელი კავკასია გახდება ძლიერი. სხვაგვარად წარმოუდგენელია.

ეს სწამდათ ბაგრატიონებს და ამ რწმენით მოდიოდნენ სახელმწიფოს სათავეში დამკვიდრებისთანავე. ეს რწმენა შეინარჩუნეს 1832 წლის შეთქმულებმა, ალექსანდრე ბატონიშვილმა, ილიამ და მისმა თაობამ, შემდგომ უმცროსმა თაობამ – ივანე ჯავახიშვილმა და მისმა ტოლებმა. და როცა ჩრდილოეთ კავკასიაში ჩატარდა ძალიან დიდი ყრილობა 1917 წელს, იქ ქართველთა სახელით გამოვიდა პავლე ინგოროყვა, რომელმაც თანადგომა გამოუცხადა ჩრდილო კავკასიას. და მან თქვა ის, რასაც ილია ჭავჭავაძეც ამბობს, და რასაც ყველა ამბობს, ვინც დაუბინდავი მზერით გაჰყურებს წარსულსაც და მომავალსაც.

მე მიხარია, და ეს სავსებით ბუნებრივია, რომ ჩრდილო კავკასიელები ალექსანდრე ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველას თავიანთ მწერლებად მიიჩნევენ. და მართლაც, ისინი ისევე არიან ქართველი მწერლები, როგორც საერთო კავკასიელი მწერლები. პოლიტიკურ მდინარებაში კი ეს ხაზი გრძელდებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, ეს ხაზი გრძელდებოდა 1942 წლის შეთქმულებთან. აქ, დიდ ეკრანზე მათი ფოტოებიც გამოჩნდა, იმ ახალგაზრდებისა, რომელნიც, კოტე ხიმშიაშვილის მეთაურობით, ესწრაფოდნენ და იმედოვნებდნენ, რომ საქართველო როგორღაც გამოეხსნათ კაბალიდან. ვინც იყვნენ გაბრიელ ჯაბუშანურის მეგობრები: ადამ ბობღიაშვილი მინდა ვახსენო კიდევ, სამანელები მინდა ვახსენო...

და დღესდღეობით, როცა ეს იდეა კვლავაც აღადგინა ზვიად გამსახურდიამ და საფუძვლად დაუდო საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოს, ამ იდეალს უნდა მივდიოთ. სხვაგვარად წარმოუდგენელია ჩვენი მომავალი.

ჩვენ თუ გვინდა, რომ ქვეყანა ვიყოთ, უნდა ვიყოთ კავკასიასთან ერთად და კავკასიაც ვერ იქნება უჩვენოდ. დღეს ჩვენ ვდგავართ საბედისწერო მოსახვევში და ამ მოსახვევში ეს იდეა გვამთლიანებს, და ამ იდეის დამკვიდრების ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაწილე გაბრიელ ჯაბუშანურიცაა. მისი ეს ფაქიზი ლირიზმი მარტო ლირიზმი არ არის, ძალიან მძაფრი დრამატიზმიცაა შიგ გახვეული, ძალიან დიდი, მწვავე ტკივილებიც, და, როგორც გითხარით, ამავდროულად ეს არის პოლიტიკური პამფლეტიც და საქართველოსა და კავკასიის მთლიანობის იდეაში არის ჩაწნული გირლიანდივით „ჰოი, ღილღოს დაღრუბლულო ცაო“, პოეტური რკალი, რომელიც პოლიტიკურ პამფლეტად აქცია ჩვენმა ძვირფასმა ამირან არაბულმა.

როსტომ ჩხეიძე

◎ ალიანჩალიანი

პრემიერის ლატვიური ვოიაჟი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ლატვიის პრეზიდენტს ანდრის ბერზინშს შეხვდა. ლატვიის პრეზიდენტის სასახლეში, ჯერ პირისპირ, შემდეგ კი გაფართოებულ ფორმატში გაიმართა. შეხვედრის მთავარი თემები საქართველოს ევროპული გზა, რიგის სამიტის პერსპექტივები და ორი ქვეყნის ბიზნესურთიერთობების გაღრმავება იყო.

მხარეებმა ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმსა და მოსკოვს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ ე.წ. ხელშეკრულების დაგეგმილ ხელმოწერასთან დაკავშირებით ისაუბრეს და კიდევ ერთხელ დაგმეს ანალოგიური შინაარსის დოკუმენტის გაფორმება აფხაზეთთან.

საუბრის ერთ-ერთი თემა იყო ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ეფექტური იმპლემენტაციის მნიშვნელობა. პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობა მზად არის, რიგის სამიტზე მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენოს.

* * *

საქართველო-ლატვიის საკანონმდებლო ორგანოების თანამშრომლობის გაღრმავებაზე იმსჯელეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ლატვიის სეიმის თავმჯდომარე ინარა მურნიეცემ.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორი ქვეყნის პარლამენტთაშორისი მეგობრობის ჯგუფების საქმიანობის მნიშვნელობას.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების თანამშრომლობის გაღრმავებას ხელს შეუწყობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი ლატვიაში, რომელიც 2015 წელს იგეგმება.

პრემიერ-მინისტრმა სეიმის თავმჯდომარეს მადლობა გადაუხადა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდამჭერი არაერთი განცხადების მიღებისა და ვიზიტების აქტიური დინამიკისთვის. შეხვედრის დასასრულს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სეიმის საპატიო სტუმართა წიგნში სამახსოვრო ჩანაწერი გააკეთა.

* * *

ლატვიაში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს შეხვდა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ეფექტური იმპლემენტაცია და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინაშე არსებული საფრთხეები.

ირაკლი ღარიბაშვილმა ფედერიკა მოგერინის მიაწოდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთის შემდეგ, „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ ე.წ ხელშეკრულების ხელმოწერას რუსეთი ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმთანაც გეგმავს და ამ საკითხზე ევროკავშირის უმაღლესი პირების მკაფიო პოზიცია უმნიშვნელოვანესია.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოში მოიწვია და ისაუბრა იმ რეფორმებზე, რომელსაც ხელისუფლება ეკონომიკისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მიმართულებით ახორციელებს.

პრემიერის განცხადებით, საქართველო ყველაფერს გააკეთებს, რათა ევროპამ გადადგას კონკრეტული ნაბიჯი და ვიზა ლიბერალიზაციის საკითხი დადებითად გადაწყდეს. ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ შესაბამისი პროცედურების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში საქართველო რიგის სამიტზე წარმატებული მაგალითი გახდება.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რიგაში, საერთაშორისო კონფერენციის „ევროპის განვითარების წელი“ ოფიციალური გახსნის ცერემონიას დაესწრო.

ღონისძიება ლატვიის პრემიერ-მინისტრმა ლაიმდოტა სტრაუიუმამ და ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან-კლოდ იუნკერმა გახსნეს. კონფერენციის მონაწილეებმა გახსნამდე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს პარიზში, Charlie Hebdo-ს რედაქციაზე შეიარაღებული თავდასხმისას დაღუპულთა ხსოვნას. დღის მეორე ნახევარში, სპეციალურ პანელზე საქართველოს მთავრობის მეთაური სიტყვით გამოვიდა.

კონფერენციაზე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებიდან უმაღლეს დონეზე მხოლოდ საქართველოა მიწვეული. ღონისძიებას სხვადასხვა ქვეყნის და ევროკავშირის ინსტიტუტების მაღალი რანგის ოფიციალური პირები, ასევე სხვა საერთაშორისო, არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებიან.

კონფერენციის მთავარი თემებია - თანამშრომლობა, რომელიც აუცილებელია მსოფლიოს განვითარების გზაზე და ზომები, რომლებიც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა „ევროპის განვითარების წლის“ ფარგლებში უნდა მიიღონ.

ინტერპრესი

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №233

„უნდა ვეწვიო სილამაზის მშობლიურ მხარეს“...

ყველა იმ საზრუნავს შორის,რაც დღეს ჩვენს ქვეყანას გააჩნია, უპირველესი ალბათ პრესტიჟის საკითხი გახლავთ. ჩვენი პიროვნულობის, ინდივიდუალობის წარმოჩენა არა როგორც ეგზოტიკური მოდელის,არამედ ძველი და დიდი კულტურის მატარებელი ერის. ამიტომ ყოველი მცდელობა ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და საზოგადოებაც ამგვარი მცდელობებისადმი, მადლიერებით, ადეკვატურად უნდა რეაგირებდეს. რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაირონის მე-40 კონფერენცია გაიმართა, სახელდებით „გაირონი დედანსა და თარგმანში“.

ლორდ გაირონის გავლენა მსოფლიო კულტურასა და ისტორიაზე განუსაზღვრელად დიდია ისევე,როგორც სამეცნიერო კვლევების არეალი მისი შემოქმედების ირგვლივ.

დღეს მსოფლიოში მუშაობს ორმოცზე მეტი გაირონის საზოგადოება, რომელთა შორის ერთ-ერთი საქართველოა.

1809-1811 წლებში ლორდ გაირონმა იმოგზაურა აღმოსავლეთში. საქართველოში ჩამოსვლა არ დასცალდა, თუმცა ასეთი გეგმა გაცხადებული აქვს სატირაში „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები“ (1809). **პოეტი საქართველოს „სილამაზის მშობლიურ მხარედ“ მოიხსენიებს. „დონ ჟუანში“ კი ქართველი ქალი სილამაზის ეტალონად გამოაცხადა.**

პოეტის ის ოცნება, 2014 წელს, მისმა მკვლევარებმა და მიმდევრებმა სიმბოლურად აღასრულეს. გაირონის კონფერენციას თბილისში ჰყავდა 120 დელეგატი მსოფლიოს 20 ქვეყნიდან, რომელთა შორის იყვნენ დიდი ინგლისელი პოეტის პირდაპირი შთამომავლები: **ლორდ გაირონი, ლედი გაირონთან ერთად და გრაფი ლიტონი, გრაფინია ლიტონთან ერთად.**

კონფერენციამ იმუშავა ერთი კვირის მანძილზე და მოისმინა მსოფლიოში ცნობილ მკვლევართა 43 მოხსენება.

* * *

რა აახლოებს ერებს და ადამიანებს? ამ თემის გააზრებას სათაავებთან მივყავართ, როდესაც ჩვენი დიდი წინაპრები საქართველოსთვის აუცილებელი კონტაქტების ძიებაში მიმართულებას აძლევდნენ დაინტერესებულ უცხოელებს – არტურ ლაისტს თუ და-ძმა უორდროპებს... საუკუნეთა მანძილზე ემატებოდა ჩვენს სამშობლოს კეთილისმყოფელნი და ეს ყველაფერი უპირველესად კონკრეტულ ქართველებთან ურთიერთობებიდან იწყებოდა...

და „ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ სიძველედ“ რომ არ გადაქცეულიყო საქართველო, სწორედ ატმოსფერული იდეების ურთიერთკავშირს მოუხმობდა გრიგოლ რობაქიძე, იმ ქმედით კავშირს, საკუთარი და სხვათა ღირებულებების ცოდნას და აღიარებას...

ჩვენი კულტურის ისტორიაში უთუოდ ეს წერილებიც დარჩება, რომელიც თბილისის გაირონის კონფერენციის სტუმრებმა სხვადასხვა დროს გამოაგზავნეს საქართველოში და რომლის ადრესატიც ამ ყველასთვის სამახსოვრო თავყრილობის ორგანიზატორი ქალბატონი ინესა მერაბიშვილი გახლავთ (ქვემოთ გთავაზობთ თარგმანებს ინგლისურენოვანი დედნებიდან. იბეჭდება შემოკლებით).

* * *

გრაფი ჯონ ლინტონი, ლორდთა პალატის წევრი, ლორდ გაირონის პირდაპირი შთამომავალი:

ძვირფასო ინესა, მსურს, მადლობა მოგახსენოთ თქვენ და მთელ საორგანიზაციო კომიტეტს, უნივერსიტეტს და ყველა მათგანს, ვინც ჩართული იყო ჩვენი ვიზიტისა და კონფერენციის შესანიშნავ და სამახსოვრო მოვლენად გადაქცევაში. გარდა მნიშვნელოვანი და ძალიან გონივრული საკონფერენციო თემისა – „გაირონი დედანსა და თარგმანში“, მოხსენებების აკადემიური დონეც იყო განსაკუთრებულად მაღალი და გარემოც ძალიან სასიამოვნო. ზღაპრული იყო ყველა ტური, იქნებოდა ეს ისეთ კულტურულ და ისტორიულ ადგილებში, როგორიცაა წინანდალი, მცხეთა და გორი, სადაც დაგვპატიჟეს და გვიმასპინძლეს, თუ იმ თვალწარმტაც სოფლებში, რომლებიც გზად გავიარეთ. განსაკუთრებით მოვიხიბლე გორით, სადაც ნება დაგვრთეთ, „შემოვჭრილიყავით“ თქვენს ძველ სახლში, ისევე როგორც თქვენს ამჟამინდელ ბინაში, თბილისში.

მის უწმინდესობასა და უნეტარესობასთან, საქართველოს პატრიარქთან შეხვედრა იყო ის უდიდესი პრივილეგია, რომელიც ოდესმე შეიძლებოდა გვქონოდა. მართალია, მასთან სტუმრობა ჩვენთვის იყო მოულოდნელი, მაგრამ ყოველივემ უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა. იმედია, პირადად გადასცემთ მას ჩვენს განსაკუთრებულ მადლობასა და საუკეთესო სურვილებს. რა იქნებოდა, რომ რიგ ეროვნულ ლიდერებსაც მთელ მსოფლიოში, მსგავსი ქარიზმა, წინამძღოლობის ასეთივე უნარი და ხალხისგან ბოძებული საყოველთაო სიყვარული ჰქონოდათ. ის ჭეშმარიტად განსაკუთრებული ადამიანია!

ლორდ ბაირონის შთამომავლები კონფერენციის დახურვაზე

კონფერენციის დასასრულს გამართული კონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში ნამდვილად გამორჩეული გახლდათ. ახალგაზრდა ტალანტების რა სიუხვე იყო!

ამდენად, დრო დიდებულად გავატარეთ, უფრო ზუსტად, ეს დრო დიდებულად თქვენ გაგვატარებინეთ! საინტერესო ღონისძიებები, დახვეწილი იუმორი, საარაკო სამზარეულო, ზღაპრული ღვინო და აუცილებლად ის ძვირფასი მოგონებები, რომლებიც მუდამ თან დაგვყვება.

თქვენი ჯონი
20 აგვისტო, 2014.

* * *

პროფესორი დეივიდ მაკკლეი, შოტლანდიის გაირონის საზოგადოების პრეზიდენტი:

(ტექსტი ქართულად ქვეყნდება შემოკლებით)

უნდა ვეწვიო სილამაზის მშობლიურ მხარეს,
სად კავკასიონს კლდით შემოსილს, პირქუშს, მრისხანეს
გვირგვინად ადგას დიდებული თეთრი მყინვარი.

ლორდ გაირონი.

მართალია, თავად პოეტმა ვერ აიხდინა ოცნება და ვერ მოინახულა საქართველო, მაგრამ გაირონის საერთაშორისო საზოგადოების წევრებმა დიდად ისიამოვნეს „სილამაზის მშობლიური მხარით.

გაირონის ქართულმა საზოგადოებამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაამართლა და განამტკიცა ქართული სტუმართმოყვარეობის რეპუტაცია, როდესაც წარმოადგინა გრანდიოზული მასშტაბის ვრცელი აკადემიური და კულტურული პროგრამა.

პლენარულმა მომხსენებლებმა, პროფესორებმა ჯონ კლაბმა, ბერნარდ ბიტიმ, ინესა მერაბიშვილმა და ნაჯი ოიჯინმა წარმოადგინეს ათეული წლების მანძილზე ჩატარებული კვლევების შედეგები ოთხი სხვადასხვა ღრმად გააზრებული და საკითხის არსში წვდომით აღბეჭდილი პრეზენტაციის სახით, რითაც კიდევ უფრო მეტი სიღრმე შესძინეს კონფერენციის მთავარ თემას.

პროფესორმა ჯონ კლაბმა თავის გამოსვლაში შეაფასა გაირონის მრავალმხრივი დამოკიდებულება საფრანგეთის რევოლუციასთან, თავისუფლებასა და ნაპოლეონთან მიმართებაში პოეტის მიერ პოლიტიკურ თემაზე 1815-16 წლებში შექმნილ „შილიონის პატიმრისა“ და „დონ ჟუანის“ მაგალითზე. მან ასევე განიხილა იმ ბობოქარი და დროდადრო ოპტიმისტური საუკუნის მეორე თვალსაჩინო პიროვნების გეთჰოვენის პარალელური რეაქცია.

პროფესორმა ბერნარდ ბიტიმ არა მარტო თავისი ჩვეული ოსტატობით დაძლია ყოველი სირთულე, რომლითაც ხასიათდება გაირონის პოეტური შემოქმედება და მასთან დაკავშირებული ლიტერატურული ტრადიციები, არამედ შესანიშნავად შეძლო, შევეყვანეთ თავად გაირონის მიერ შესრულებული თარგმანების წიაღში.

პროფესორმა ნაჯი ოიჯინმა, ბერნარდის მსგავსად განიხილა „თარგმანის“ ლათინური ფესვები. სიტყვა „transferation“-ის ლათინურმა წარმოშობამ მას შთააგონა თემა, რომელშიც დეტალურად წარმოაჩინა მნიშვნელობის გადატანის საკითხი. ამ მხრივ გაირონის აღმოსავლურმა ნაწარმოებებმა, განსაკუთრებით კი „გიაურმა“, ნაჯის მისცა საშუალება, თავისი ღრმა კულტურული და ლინგვისტური ცოდნა გაირონის აღმოსავლური თვითმყოფადობისაკენ მიემართა.

პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა ყურადღება გაამახვილა თავის ახლახან გამოქვეყნებულ მონოგრაფიაზე „შეხვედრა ლორდ გაირონთან“, რომელიც გახლავთ სამეცნიერო გამოკვლევა ინგლისელ პოეტსა და საქართველოს შესახებ. ეს ძვირფასი წიგნი კონფერენციას მიეძღვნა და ყველა დელეგატს საჩუქრად დაურიგდა. უხვად ილუსტრირებული ეს ინგლისურენოვანი გამოცემა მოიცავს თავად ავტორის და მთელი ქართველი ერის გატაცებას პოეტის შემოქმედებით. ტომში აგრეთვე შესულია გაირონის ცნობილი ნაწარმოებები ინესა მერაბიშვილისეული ქართული თარგმანით.

უძველესმა და სტუმართმოყვარე საქართველომ კონფერენციის მონაწილენი გაგვაოცა თავისი კულტურული პროგრამით.

ვესტუმრეთ მეექვსე საუკუნეში დაარსებულ ალავერდის განსაცვიფრებელ მონასტერს, რომლის მოხატულობანი მე-11-15 საუკუნეებს განეკუთვნება. ამათგან წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს წმინდა გიორგისა და გველეშაპის ამსახველი და უმშვენიერესი ფრესკა ტაძრის შესასვლელში.

მეორე საექსკურსიო დღეს შევჩერდით თვალწარმტაცი მდებარეობის მქონე მეექვსე საუკუნის ჯვრის მონასტერთან. ორივე, როგორც მცხეთა, ისე მონასტერი, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შესული. მცხეთა არის ერთ-ერთი ყველაზე პატარა და უძველესი ქალაქი საქართველოში, სადაც თავმოყრილია უამრავი მნიშვნელოვანი ანტიკური მონუმენტი.

ექსკურსია გაგრძელდა უფლისციხესა და გორში და ის ორ სრულიად განსხვავებულ ეპიზოდს მოიცავდა. ძალზედ ვიწრო ინტერპრეტაცია წარმოგვიდგინეს იმის შესახებ, თუ რა ადგილი უკავია სტალინს ისტორიაში. ამ შთაბეჭდილების საპირისპირო იყო თბილი მიღება, რომელიც იმავე საღამოს გორის მუნიციპალიტეტმა მოგვიწყო.

ქართულ სუფრაზე უგემრიელესი კერძების დაგემოვნებას განსაკუთრებულ ხალისს მატებს სადღეგრძელოს ქართული ტრადიცია. სუფრის წინამძღოლის, ანუ თამადის შთაგონებით მრავალი საინტერესო სადღეგრძელო შეისვა. ეს გახლდათ ის ერთგვარი პასუხისმგებლობა, რომელმაც გაგვიადვილა, მადლიერება გამოგვეხატა მასპინძლებისათვის.

* * *

რეცენზია ინესა მერაბიშვილის ინგლისურენოვან წიგნზე.
„შეხვედრა ლორდ გაირონთან, გაირონი და საქართველო“.

გაირონის მე-40 საერთაშორისო კონფერენცია იყო ყველაზე შესაფერისი მოვლენა იმისათვის, რომ პროფესორ ინესა მერაბიშვილს წარედგინა თავისი ნოვატორული მონოგრაფია „შეხვედრა ლორდ გაირონთან“. წიგნის ყდის დიზაინი და ხარისხი მეტად დახვეწილია, რაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ჩართულობაზე მეტყველებს, რომელმაც წიგნის გამოცემა დააფინანსა.

პროფესორი ინესა მერაბიშვილი წიგნს იწყებს ლორდ გაირონისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსით ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეს გახლავთ მიმართვა იმ პოეტისადმი, რომელიც მას უყვარს და, რომელსაც ეთაყვანება, რაც ნათელია მისი მაღალი პოეტური ნიჭის მაჩვენებელი სტრიქონებიდან. როგორც ის ლექსში გვპირდება – „ენს სიტყვას თამამს, გრძნეულს და ფრთიანს, მივანდო უნდა ხალხის გულები“, წიგნი – ოცნების ასრულებაა ბევრი ქართველი სწავლულისა და თვით ავტორის, პოეტისა და მთარგმნელისთვის, რომელიც არა უბრალოდ კითხულობდა დიდი პოეტის ნაწარმოებებსა და ბიოგრაფიას, არამედ ცხოვრობდა გაირონთან ერთად ფიქრებსა და წარმოსახვაში. ეს ინტელექტუალური კავშირი ავტორ-პოეტ-მთარგმნელსა და მსოფლიოს წამყვან პოეტსა და მოაზროვნეს შორის ამ ფრიად მნიშვნელოვანი წიგნის ყოველ გვერდზეა აღბეჭდილი. ის მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორი ენთუზიაზმით ეზიარებოდნენ გაირონის პოეზიას ქართველი მწერლები.

ავტორი გადაინაცვლებს თავად გაირონის მიერ აღქმულ საქართველოზე. ეს აღქმა ზოგჯერ პირდაპირ და ზოგჯერ კი ფარულად არის გადმოცემული პოეტის შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი „ინგლისელ ბარდებსა და შოტლანდიელ მიმოხილველებსა“ და „დონ ჟუანში“.

ნაშრომს განსაკუთრებით ღირებულს ხდის წიგნის ის ნაწილი, რომელიც ლორდ გაირონის „თირზას“ ეღძვნება. აქ ავტორი პოეტის ერთ-ერთი პერსონაჟის პროტოტიპის დადგენას ისახავს მიზნად, რასაც მივყავართ იმ ქართველი გოგონასადმი მიძღვნილი ლექსების გამოვლენამდე, რომელსაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია პოეტზე.

ამ ინგლისურენოვანი ტომის ბოლო ნაწილში პროფესორი მერაბიშვილი გვთავაზობს პოეტის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ლექსების შესანიშნავ ნაკრებს მის მიერვე შესრულებული ქართული თარგმანით. მიუხედავად იმისა, რომ მე არ შემიძლია, შევაფასო ქართული თარგმანების ესთეტიკური მხარე, რადგანაც არ ვიცი ენა, თარგმნილი სტრიქონების სტრუქტურიდან მაინც შევნიშნე, რომ გაირონის პოეზია პოეზიითვე არის გადმოტანილი ქართულ ენაზე, რაც მხოლოდ უმაღლესი დახელოვნებისა და ცოდნის მქონე პოეტებს ხელეწიფებათ. მაგრამ ამ საკითხს ქართველ სწავლულებს ვუტოვებ განსახილველად და შესაფასებლად.

მონოგრაფია ოქროს ასოებით ჩაიწერება გაირონის შესწავლის ისტორიაში და არა მხოლოდ უკეთ გაგაცნობთ გაირონს, არამედ საშუალებას მოგცემთ, შეიმეცნოთ მდიდარი ქართული კულტურა. ერთი სიტყვით, საქართველოს ეროვნული კულტურის საუნჯეთა შორის ეს წიგნი თავის კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებს.

პროფესორი ნაჯი ოიჯინი,
გაირონის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი
გაზეთი „Georgian journal“, 20-26 ნოემბერი, 2014.

განსაკუთრებულ რეგიონში

„ასწავლე საქართველოსთვის“

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა პროფესორთა და მასწავლებელთა რესპუბლიკურ კონფერენციას: **„განათლების თანამედროვე პრობლემები და პერსპექტივები“ (საქართველოს** პრეზიდენტის ფონდის მხარდაჭერით).

ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, მარნეული, დედოფლისწყარო, ბორჯომი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, ადიგენი, ახალციხე – ეს იმ მუნიციპალიტეტების ჩამონათვალია, რომელთა საჯარო სკოლების მასწავლებლებიც მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციაში. სერიოზული რესურსით იყო წარმოდგენილი უნივერსიტეტიც – მონაწილეობდნენ როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ისე დოქტორანტები და მაგისტრანტები.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სტატუსი იძლევა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებთან ერთად სადოქტორო პროგრამის შემუშავების შესაძლებელობას, რაც მასწავლებელთა მონაწილეობით, მათი აქტიური ჩართულობით განხორციელდება. რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის აზრით, მიმდინარე კონფერენცია იმის დადასტურებაა, რომ მასწავლებელთა საქმიანობა საყურადღებო იყო ყოველთვის და ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება სამომავლოდ. არ შეიძლება სკოლა და უნივერსიტეტი ერთმანეთისგან მოწყვეტილად ფუნქციონირებდეს: **„ამ ტიპის შეკრება, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვისაც და პედაგოგებისთვისაც. რადგან ამ ფორმატით შეხვედრა ჯერ არ შემდგარა, გვინდა, რომ სერიოზული და წარმატებული იყოს ჩვენი კონფერენცია“**. ფაქტობრივად, არ იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სხვადასხვა დროს განხორციელებული და მიმდინარე პროგრამები, რომელთა წარმომადგენელიც კონფერენციაში არ მონაწილეობდა.

ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტის, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა **მეუფე თეოდორემ** მასწავლებლებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ მათ მოსწავლეთა სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში უდიდესი როლის შესრულება შეუძლიათ, გამოკვეთა მასწავლებელთა პროფესიონალიზმის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში. განსაკუთრებით, მასწავლებლის პირადი მაგალითის მნიშვნელობა, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის როლი და უკვე ტრადიციად ჩამოყალიბებული თანამშრომლობა, დალოცა კონფერენციის მონაწილენი: **„შევთხოვ უფალს, თითოეულ თქვენგანს მოგანიჭოთ იმისი ძალა, რომ ბავშვებისათვის ღირსეული პიროვნული მაგალითი მიგეცეთ... უნივერსიტეტი ყოველთვის იდგა ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე“**.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ **მერაბ ბერიძის** მიერ წარმოდგენილი ხედვა დაემთხვა იმ მოსაზრებებს, რომლებიც გამოთქვეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოწვეულმა სტუმრებმა. მასწავლებელთა პროფესიონალიზმის უზრუნველყოფაზე, სკოლისა და უნივერსიტეტის დაახლოებაზე ისაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ბატონმა **თამაზ მარსაგიშვილმა** და ამ თვალსაზრისით მაღალი შეფასება მისცა კონფერენციას: **„ჩვენ ვერ შევძლებთ კონკურენციის გაწევას სხვა ქვეყნებისათვის, თუ არ ვიქნებით ძლიერი. სიძლიერე არის, პირველ რიგში, ცოდნაში, რწმენასა და ქვეყნის სიყვარულში. ამის გამო თითოეული ქალბატონი, რომელიც დღეს ესწრება ამ კონფერენციას, ის ბატონები, რომლებიც მონაწილეობენ კონფერენციაში, არის ჩვენი უდიდესი რესურსი, რომელმაც უნდა გააერთიანოს, გააძლიეროს ქვეყანა“**.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა **გიორგი მაჩაბელმა** აღნიშნა, რომ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, წლების განმავლობაში არაერთი წარმატებული ნაბიჯი გადადგმულა. ბევრი კითხვა პასუხგაუცემელია, ბევრი პრობლემა მოუგვარებელი. სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით ბატონმა გიორგი მაჩაბელმა სიმბოლური მნიშვნელობა მიანიჭა კონფერენციის თემას. ნდობა მსმენელებში გააჩინა ცნობამ იმის შესახებ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა ათწლიანი პროგრამა, რომელიც საფუძვლად დაედება განათლების სხვადასხვა საფეხურზე გადადგმულ ნაბიჯებს. სამინისტროს სამომავლო ხედვით, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს სერიოზული ფუნქცია ეკისრება: **„თანამშრომლობა მნიშვნელოვანი იქნება თვით უნივერსიტეტისთვისაც, რადგანაც დაგეგმილია, რომ განსაკუთრებით რეგიონული უნივერსიტეტები, ამ შემთხვევაში სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი, გახდეს ცენტრი პედაგოგებისთვის პროფესიული და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით. იქნება აქტიური ხელშეწყობა ამ მიმართულებით, იქნება გარკვეული გეგმები, იქნება თანამშრომლობა და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ყველა ერთად ამ გამოწვევას ვუპასუხებთ“**. ეს იყო ერთი მხრივ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო დროს განხორციელებული სასიკეთო ცვლილებების ლოგიკური გაგრძელება, მეორე მხრივ, მისი ამჟამინდელი რექტორის სამოქმედო პროგრამის კიდევ ერთი პუნქტის განხორციელება. ასე, რომ კონფერენციამ უნივერსიტეტის მხრიდან განათლების მიმართულებით სერიოზული, არსებითად განსხვავებული საქმიანობის მზაობა გამოაჩინა. სხვადასხვა პროგრამაში (პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, პროგრამა „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“, პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“) ჩართულ პედაგოგებს არაერთი კითხვა გაუჩნდათ. ბატონმა გიორგი მაჩაბელმა განმარტა, რომ კარგად ესმით მასწავლებელთა საქმიანობის მნიშვნელობა. აცნობიერებენ მათ საჭიროებას. იციან, რომ ხშირად ქართული ენის მასწავლებელი კონკრეტულ სოფელში არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ინფორმაციის ერთადერთი წყაროა. მან დაადასტურა, რომ ყველა საკადრო ცვლილება მხოლოდ პროგრამის გაუმჯობესებასა და გაძლიერებას ისახავდა მიზნად, რომ არცერთი პროგრამა არ შეწყდებოდა. ამით კიდევ ერთი ძალიან საგულისხმო მიდგომა გამოიკვეთა – წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი საფუძველი თანმიმდევრულობა და უწყვეტობაა, სწორედ ეს აკლდა ხშირად განათლების რეფორმის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობებს.

პროფესორმა მერაბ ბერიძემ მოხსენებაში: „ენობრივი ინტეგრაციის დინამიკა XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში“ წარმოაჩინა სახელმწიფო ენის სწავლების მიდგომები და პროცესები უნივერსიტეტში. უმაღლესში სწავლების სათანადო დონეზე უზრუნველსაყოფად აუცილებელია სკოლამდელი და ზოგადი განათლების საფეხურებზე ქართული ენის სწავლება. მოხსენებაში „სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები“ (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მაკა კაჭკაჭიშვილი) წარმოდგენილი იყო როგორც სკოლამდელი, ისე ზოგადი განათლების საფეხურებზე სახელმწიფოს მიერ ქართული ენის სწავლების ხელშესაწყობად განხორციელებული პროგრამები. პრობლემათა მიუხედავად, დღეს არსებული ვითარებით დასტურდება, რომ ქართულის მასწავლებელთა ძალისხმევა შედეგიანია, შესამჩნევია სახელმწიფო ენის შესწავლისადმი გაზრდილი ინტერესი, ქართული საგანმანათლებლო სივრცე ნელ-ნელა ხდება მიმზიდველი. უნდა დავინახოთ შედეგები, თვალი არ დავხუჭოთ პრობლემებზე და, რაც ყველაზე მთავარია, ერთხელ მაინც შევძლოთ შევინარჩუნოთ პროცესის თანმიმდევრულობა. მოხსენებამ – „ეროვნული უმცირესობის პროფესიული განვითარებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა“ (მაკა ომიაძე, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, სახელმწიფო ენის პროგრამის ხელმძღვანელი) წარმოაჩინა სკოლის განახლებული სამოქმედო პროგრამა, გეგმები. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენება აღმოჩნდა წინმსწრები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა.

მონაწილეებმა სახელმწიფო ენის სტატუსის რეალური ფუნქციონირების, ქართული ენის ნორმების დამდგენი კომისიის საკანონმდებლო დონეზე შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრეს და ინიციატივით მიმართეს სამეცნიერო კონფერენციის კიდევ ერთ სტუმარს, პარლამენტის წევრ **ზაქარია ქუცნაშვილს.** ბატონმა ზაქარიამ, როგორც პარლამენტარმა, თანადგომა აღუთქვა მასწავლებლებს, რომელთა საქმიანობაც შეაფასა როგორც სახელმწიფო მნიშვნელობისა: **„ჩემთვის თქვენ ბრძანდებით იდენტობის და ეროვნულობის მთავარი გამოხატულება, იმ იდენტობისა და ეროვნულობის, რამაც ჩვენს თანამოქალაქეებს უნდა მისცეს საშუალება, ბუნებრივად გაითავისონ ის მთავარი ღირებულებები, რომელსაც ქართული ცივილიზაცია იძლევა და გახდნენ მომხმარებლები იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის, რომელიც ყველამ ერთად, ჩვენი დიდი წინაპრების დამსახურებით მრავალი საუკუნის განმავლობაში შევქმენით“. ინგა ბაგრატიონმა** (ახალქალაქი, სოფ. ალასტანი, ქართული ენის მასწავლებელი) დასვა რაიონის სამედიცინო და ამბულატორიების, ქართული ეკლესიების მოვლა-პატრონობის საკითხი, **ლალი ბერიძემ** (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი) ისაუბრა სოფლების მოსახლეობისაგან დაცლისა და უახლოეს მომავალში მათი ნასოფლარებად ქცევის საფრთხეზე, ქართულენოვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავრცელების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე გაამახვილა ყურადღება **ნანული მიხანაშვილმა** (ნინოწმინდა, სოფელი განძა, ქართული ენის მასწავლებელი), **ნათელა ბერიძემ** (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგი) გამოკვეთა სახელმწიფო უწყებების მხრიდან სახელმწიფო ენის ნორმების დაცვის პრობლემა. მის მიერ დასმული პრობლემა – დოკუმენტებში უცხოური სახელისა და გვარის შეცდომით გაფორმება, მისი თანამდევი სირთულეები – ერთნაირად პრობლემური აღმოჩნდა კონფერენციის თითოეული მონაწილისთვის.

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა **ზაზა მელიქიძემ** პროფესიონალი კადრების მნიშვნელობა გამოკვეთა: **„უნივერსიტეტი ძალიან დიდ როლს თამაშობს როგორც ჩვენი კუთხისთვის, ისე რეგიონისთვის. ძალიან ბევრი ახალგაზრდა აღუზრდია და მრავალი წარმატებული ადამიანი. ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ქალაქისთვის, ისე მუნიციპალიტეტისთვის ჩვენი პედაგოგების ღვაწლი და მივესალმები, რომ ისინი დღეს აქ ბრძანდებიან, მონაწილეობენ კონფერენციაში“**. ქალაქ ახალციხის მერი, ბატონი **გიორგი კოპაძე** საჯარო სამსახურებში დასაქმებული ადამიანების ენობრივი კომპეტენციის საკითხს შეეხო, ხაზი გაუსვა სწორედ მათი მხრიდან სახელმწიფო ენის ნორმების დაცვის აუცილებლობას: **„ახალციხე არის მუნიციპალიტეტი, სადაც რამდენიმე ეროვნება ცხოვრობს და მათი ინტეგრაცია დამოკიდებულია ქართული ენის ცოდნაზე. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში ბევრი სომეხი მოხელე მუშაობს, რომლებიც შესანიშნავად ფლობენ ქართულ ენას. მე ღრმა პატივისცემას გამოვხატავ პედაგოგების მიმართ, უნივერსიტეტის მიმართ“**. სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობის მიზნით სათანადო სახელმძღვანელოების შექმნის პერსპექტივებზე, მეთოდური ტერმინოლოგიის საკითხებზე ისაუბრა **ტარიელ ფუტკარაძემ**, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორმა.

შეიქმნა უშუალო და თავისუფალი სივრცე პრობლემათა გააზრებისთვის.

მუშაობა ექვს სექციად და სამი ძირითადი მიმართულებით გააგრძელეს: განათლება, როგორც აღზრდის მეცნიერება; საგნის სწავლების მეთოდიკა; ბლინგვური განათლება; მასწავლებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ საკუთარი ძალისხმევით შექმნილი სასწავლო მასალები, მეთოდური მიგნებები. რექტორისაგან მიიღეს დაპირება, რომ კონფერენციის მასალები დაიბეჭდებოდა და თითოეულ მონაწილეს გადაეცემოდა. კონფერენციის მუშაობის შეჯამებამ გამოკვეთა ბილინგვური განათლების პრობლემა. არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, ყველა შეთანხმდა, რომ მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი სათანადო კადრების დეფიციტია. მასწავლებლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეკისრა ბილინგვური განათლების მასწავლებლის მომზადების მისია. საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია და, ბუნებრივია, უყურადღებოდ ვერ დარჩება. უნივერსიტეტს ამ მხრივ საგულისხმო ნაბიჯები უკვე აქვს გადადგმული და კიდევ უფრო სერიოზული გეგმებისთვის ემზადება. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამა ბილინგვური განათლების მოდულით. მზადდება და უახლოეს მომავალში აკრედიტაციას გაივლის ბილინგვური მასწავლებლის მომზადების სამაგისტრო პროგრამა, მუშავდება განათლების მიმართულებით სადოქტორო პროგრამა, რომლის შემადგენლობაშიც ბილინგვური განათლების მოდული იქნება წარმოდგენილი. უნივერსიტეტის რექტორმა მასწავლებლებს თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმა შესთავაზა. გამჟღავნდა მეთოდიკის თეორიული პრობლემების დამუშავების საჭიროებაც. ასევე გამოიკვეთა თეორიული კვლევის, ანალიზის აუცილებლობის საკითხი. როგორც პროფესორმა მერაბ ბერიძემ აღნიშნა, ქართული ენის ფონემების სწავლებისას ვერ ავხსნით, რატომ უჩნდებათ სამცხეში მცხოვრებ სომეხ ბავშვებს მეტი პრობლემა ჯავახეთში მცხოვრებლებთან შედარებით, თუ არ გავითვალისწინეთ, რომ ისინი სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილიდან არიან ჩამოსახლებულნი (არზრუმის, ყარსის, ბაიაზეთის ვილაიეთებიდან) და, შესაბამისად, სხვადასხვა მეტყველების მემკვიდრეები არიან.

პროფესორთა და მასწავლებელთა კონფერენციის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ორდღიანი მუშაობა ახალციხის ციხის დათვალიერებამ დაასრულა. სამომავლოდ გაგრძელდება სკოლებისა და უნივერსიტეტის დაახლოება, თეორიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, პრობლემური საკითხების გააზრება. თუ საუნივერსიტეტო პროგრამებში სათანადოდ აისახა თანამედროვე სკოლის პრობლემატიკა, თავისებურებები, თუ სკოლის მოთხოვნები დაუახლოვდა საუნივერსიტეტო განათლებას, საქართველოში ასე მწვავედ აღარ დადგება კვალიფიციური პედაგოგიური კადრის პრობლემა.

მაკა კაჭკაჭიშვილი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

ჩანართზე მუშაობდნენ
ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

როცა წლები მართლაც სიმდიდრეა

„დარწმუნებული ვარ, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ოდესმე აღდგება. მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების, მეგობრობის, ერთიანი კულტურის, ტრადიციების პატივისცემის სწორუპოვარი ჰარმონია უკვალოდ არ გაქრება და წყენაც, ღვარძლიც მიყუჩდება. ძველი ურთიერთობის აღდგენა მხოლოდ კეთილგანწყობის გავლენით, მიმტევებლობით, დიალოგით არის შესაძლებელი.

დროა საჭირო!

მაგრამ ამ დროის უფრო მოსაახლოებლად ყველას, პოლიტიკოსი იქნება იგი, დიპლომატი თუ საზოგადო მოღვაწე, უნდა ახსოვდეს, რომ აფხაზებმა გაიარეს განვითარების რთული ისტორიული გზა, არაერთხელ მდგარან ფიზიკური განადგურების ზღვარზე. ამიტომაც, დღევანდელ რთულ სიტუაციაში სრულიად გასაგები და მართლზომიერია, რომ ისინი ეძებენ თავიანთი სახელმწიფოებრიობის ისეთ ფორმას, რაც მათ დემოკრატიული და, რაც მთავარია, დემოგრაფიული აღორძინების,ანუ გადარჩენის, თვითშენარჩუნების მყარ გარანტიებს მისცემდა“.

ამ სტრიქონების ავტორი შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე, ოთხმოცდაათიანი წლების ძმათამკვლელ ომამდე აფხაზეთში ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი გამორჩეული, გონიერი და შორსმჭვრეტელი წარმომადგენელი **ლორენცო შარანგიაა.**

იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა „აფხაზწყალმშენის“ ტრესტს, არის აფხაზეთის დამსახურებული ინჟინერი და საქართველოს დამსახურებული მელიორატორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ყოფილი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მელიორაციის კათედრის დოცენტი, ღირსების ორდენის და მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი...

ბატონ ლორენცოს ჩვენს გაზეთში წინა წლებშიც ჰქონდა გამოქვეყნებული რამდენიმე ტკივილიანი პუბლიცისტური წერილი და საქმიანი ინტერვიუ, მაგრამ იგი პირადად მაშინ გავიცანი, როდესაც აფხაზეთის დევნილმა საზოგადოებამ ის ერთხმად აირჩია საქართველოში ახალშექმნილი უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარედ და მასვე მიანდო ქართველებსა და აფხაზებს შორის სახალხო დიპლომატიის წარმართვა.

სწორედ ამასთან დაკავშირებით ვთხოვე მაშინ ინტერვიუ ჩვენი გაზეთისთვის ბატონ ლორენცოს, რომელმაც თავისი პირველი წიგნი — **„მსოფლიოში საუკეთესო ქალაქი“** — მისახსოვრა. .

„ადრე მას ვიცნობდი, როგორც განათლებულსა და მწიგნობარს, აფხაზეთში კარგად ცნობილ ხელმძღვანელს, კარგ, ნიჭიერ ორგანიზატორს, შესანიშნავ მეოჯახეს, მეგობრებით მდიდარ კაცს, დიდებულ თამადას, მაგრამ როგორც მწერალი, პირველად მისი ნოველებით ერთი წლის წინათ გავიცანი...

... მისი წიგნებიდან ტრადიციული კულტურის, ძველკოლხური, ძველაფხაზური მენტალიტეტისა და, ამავე დროს, საოცრად გულგახსნილი თანამედროვე კაცი გვესაუბრება“...

2006 წელს დასტამბული ამ წიგნის წინასიტყვაობის ავტორის, მწერალ **გურამ ოდიშარიას** ეს სიტყვები თავადაც უმალ ვირწმუნე, როგორც კი, რომ იტყვიან, მართლაც ერთი ამოსუნთქვით ჩავიკითხე იგი ბოლო სტრიქონამდე.

ჩავიკითხე და, გული დამწყდა იმის გამო, რომ ყველაფერი ის, რაზეც ავტორი ასე ძალდაუტანებლად და დამაჯერებლად მოგვითხრობს, ზოგან რომ გვახალისებს, ზოგან კი საოცრად გვასევდიანებს და ჩაგვაფიქრებს, სამწუხაროდ, სადღეისოდ ენგურს გაღმა არის დარჩენილი, ჩვენ შუა კი უცხო ჯილაგის შეიარაღებულნი ჩამდგარან მავთულხლართებიანი ბეტონის კედლებს მიღმა.

მერე 2008 და 2012 წლებში გამოცემული მისი ორი წიგნიც —**„გიყვარდეთ ერთმანეთი“**... და **„მშვიდობით, საყვარელო ქალაქო!“** წავიკითხე და ბატონი ლორენცოს თავაზიანი თანხმობით მათში მოთხრობილთაგან მცირე ნაწილი დავბეჭდეთ კიდეც „საქართველოს რესპუბლიკის“ შარშანდელი 14 ივნისის ნომერში.

ამ წიგნებიდან გავიგე ისიც, რომ მათი ავტორი წლეულს, 10 იანვარს, ოთხმოცი წლისა ხდებოდა და მორიგი შეხვედრისას საიუბილეო მასალის პუბლიკაცია შევთავაზე, რაზეც უარი მითხრა, მაგრამ მერე, როცა ამის გამო არცთუ ისე კარგად შენიღბული ხასიათწახდენილობა შემატყო, დამთანხმდა.

— კარგი, ბატონო, ჟურნალისტებს წერას ვინ დაგიშლით. ჰოდა, თუ მაინცდამაინც გინდათ რაიმეს დაბეჭდვა, ამ ჩემს წიგნებში წერია ყველაფერი, რაც მიკეთებია თუ მიფიქრია, მათში მთელი ჩემი ცხოვრებაა ჩატეული თავის მინუს-პლუსიანად, ტკივილიან-სიხარულიანად და შეგიძლიათ მოამზადოთ მასალაო.

ასეც მოვიქეცი. რამდენიმე მის ახლობელსაც დაველაპარაკე.

— ვინ იცის, ჩემი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე რამდენ ახალგაზრდას გაუვლია ჩემს ხელში, — მითხრა მისმა ყოფილმა მასწავლებელმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა ქალბატონმა თინა აბაშიძემ, — **მაგრამ ლორენცო შარანგია ერთ-ერთი გამორჩეული იყო მათგან თავისი ნიჭიერებითა თუ სიბეჯითით, ოჯახიშვილობითა თუ მამულიშვილობით. გულით ვულოცავ მას იუბილეს, ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს ვუსურვებ.**

მდიდარ ქართულ ლექსიკაში, ალბათ, არ არსებობს არც ერთი ეპითეტი თუ დადებითი შედარება, ბატონ ლორენცო შარანგიას რომ არ შეეფერებოდეს და არ ეკუთვნოდეს!

ნაღდი მამულიშვილი, გულმხურვალე პატრიოტი, ჩინებული პროფესიონალი, შესანატრი ოჯახის თავკაცი, უღალატო მეგობრობისთვის გაჩენილი, საძმოს კოლორიტი და იმედი — ბატონი ლორენცო 80 წლისა გამხდარა.

მისი კვლავაც ახალგაზრდული შემართების შემყურეს ერთგვარად კი გვიჭირს ამის დაჯერება, მაგრამ ფაქტი ჯიუტია!

სულითა და გულით გილოცავთ, ჩვენო საყვარელო ბატონო ლორენცო, საიუბილეო თარიღს. ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ ულევ სიხარულთან და ახალ წარმატებებთან ერთად!

მურიკო თოფურიძე, თამაზ კალანდაძე, გურამ (ტურკეცა) კალანდაძე, რომან გვენცაძე, დავით ზეიკიძე, გელოდი კოგალაძე, ელიზბარ ლომინაძე, თენგიზ კალანდაძე, ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოგულია

— ძნელია დაიჯერო, რომ ბატონი ლორენცო 80-ისა გამხდარა, — მითხრა საქართველოში ყველასთვის კარგად ცნობილმა პიროვნებამ, გამოცდილმა პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ ბაკურ გულუამ, — **ძნელია, რადგან მისი აღნაგობის, ახალგაზრდული მოძრაობისა და მოხდენილობის შემყურეს, დიდი-დიდი 40-50 წელს თუ მისცემ;**

თითქოს არაფერი შეცვლილა, ასეთი გავიცანი იგი მე ამ სამ ათეულზე მეტი წლის წინათ, როდესაც გალის რაიონის პირველ ხელმძღვანელად ვმუშაობდი. ბატონი ლორენცოს ორგანიზაციამ მაშინ ჩვენთან დიდი სამელიორაციო სამუშაოები ჩაატარა. ასეთივეა იგი დღესაც, კვლავ ოპტიმიზმითა და სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე, თავის გარშემო მუდამ იმედისა და კეთილგანწყობის მფრქვეველი გამორჩეული კაცია. გამორჩეული ღვაწლი და დამსახურებაც მიუძღვის ქვეყნისა და ხალხის წინაშე და, საბედნიეროდ, საპასუხოდაც უხვად აქვს მიღებული საყოველთაო დაფასება და აღიარება. მის მრავალრიცხოვან შთამომავლობასაც შეუძლია იამაყოს მის მიერ განვლილი ცხოვრების გზით.

გაიხაროს და იმრავლოს შენმა ჯიშმა და ჯილაგმა, კეთილო კაცო!

პეტრე ბერაიამ, ორგზის პარლამენტარმა და „კუს ტბის“ საზოგადოების პირველმა ხელმძღვანელმაც მის საუცხოო პიროვნულ და საქმიან თვისებებს გაუსვა ხაზი:

— ბატონი ლორენცო ამ რამდენიმე წლის წინათ გავიცანი. მას მერე თითქმის ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს კუს ტბაზე თუ სხვაგან და დავრწმუნდი, რომ საქებარი სიტყვები, რაც ჯერ კიდევ 80-იან წლებში ფოთის თავკაცად მუშაობისას საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრისგან ბატონ ანზორ მუსერიძისგან მასზე გამიგია, აბსოლუტური სიმართლე ყოფილა: ვამაყობ მასთან მეგობრობით.

* * *

...თუ საქართველოში ვინმეს აქვს იმის მორალური უფლება, რომ თამამად გაიმეოროს ფრთიანი ინგლისური ფრაზა — **ჩემი ოჯახი ჩემი ციხესიმაგრეაო,** — ერთ-ერთი პირველი მათ შორის ლორენცო შარანგია იქნება.

ოჯახის კულტი მშობლებისგან მოსდგამს. მამამისი ოჩამჩირეში რუსულ-ქართული სკოლის დამაარსებელი და პირველი დირექტორი იყო, მერე სხვა სკოლებსაც ხელმძღვანელობდა, ტექნიკუმსაც, ოჩამჩირის აღმასკომის თავმჯდომარეც იყო, დედა ექიმი გახლდათ.

ჭეშმარიტად ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღზრდილმა ლორენცო შარანგიამ საკუთარი ოჯახიც თავის პედაგოგ მეუღლესთან ლამარა ემუხბასთან ერთად ქართული ტრადიციისამებრ წაიყვანა.

„ვინც კეთილი ცოლი იპოვა, მან მოიპოვა კეთილდღეობა და მადლი ღვთისა“, — ეს ბიბლიიდან ამოღებული სიტყვებია, — წერს ბატონი ლორენცო წიგნში — „გიყვარდეთ ერთმანეთი“... — **უდავოა, რომ ლამარას სახით მე და ჩემმა ოჯახმა ღვთისგან სიკეთე, მადლი და წყალობა მივიღეთ. ლამარას შემოსვლის შემდეგ ჩვენს სახლში სიმშვიდემ და სიმყუდროვემ დაისადგურა“.**

სწორედ ამ, ტრადიციების ერთგულ, ოჯახში აღიზარდა მათი ოთხი ვაჟი — მერაბი, რეზო, შოთა და ლევანი. ოთხივემ უმაღლესი განათლებს მიიღო, ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ, დაოჯახდნენ, გამრავლდნენ...

* * *

ბატონ ლორენცოსთან არც ერთი შეხვედრა ისე არ დამთავრებულა, რაიმე კუთხით მაინც რომ არ შევხებოდით ქართულ-აფხაზურ პრობლემასა და ამ ორ მოძმე ხალხს შორის ამჟამინდელ ყოვლად მიუღებელ ვითარებას (ახლაც ასე იყო, მაგრამ ამაზე ვრცლად ცალკე მასალაში ვისაუბრებთ).

— ამ პრობლემების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრაზე ფიქრიც კი დაუშვებელია. მე ძალიან დიდი იმედი ჩამისახა ჩვენი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვებმა, რომელშიც მან სამეგრელოში განაცხადა: **„პირველ რიგში, უნდა დავეყრდნოთ იმ განწყობას, რომელიც აფხაზებს განსაკუთრებით სამეგრელოს მიმართ აქვთ შენარჩუნებული. ჩვენ აფხაზებთან ერთად ვიპოვით გამოსავალს. ჩვენი მთავარი მიზანი ერთმანეთის ნდობის მოპოვება იქნება. საქართველოში აფხაზეთი თავისი ნებით უნდა დაბრუნდეს და, რაც მთავარია, აფხაზები საიმედო, რეალური და სასურველი მომავლის წყურვილმა უნდა მოიყვანოს ჩვენთან... ურთიერთობის აღდგენის გარეშე ტერიტორიულ მთლიანობაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს“.**

მთლიანად ვეთანხმები ბატონ ირაკლის. მხოლოდ ამგვარი მიდგომით თუ აღსდგება ორ მოძმე ერს შორის ჩატეხილი ხიდი.

ჯერ აფხაზები დავიბრუნოთ და მერე აფხაზეთიც დაგვიბრუნდება!

* * *

80 წელი ის მაღალი გადმოსახედია, საიდანაც, როგორც ხელისგულზე, ნათლად ჩანს განვლილი ცხოვრებისეული გზა ყველა წარმატებითა და წარუმატებლობით. ბატონ ლორენცოს ამ გადმოსახედიდან უკან მოხედვისა არ შერცხვება, რადგან, ერთი კარგი სიმღერისა არ იყოს, კაცურად განვლილი წლები მართლაც მისი სიმდიდრეა.

კვლავაც წარმატებით და მხნედ ევლოს ამ გზაზე!

რუსლან რუსია

ავტორის თავაზიანი თანხმობით გთავაზობთ რამდენიმე ნოველასა და ჩანახატს ბატონ ლორენცო შარანგიას ერთ-ერთი წიგნიდან „მშვიდობით, საყვარელო ქალაქო!“

შაშვი ანძაზე

ვფიქრობ, არც ერთი გარეული ფრინველი ისე ახლოს არ დგას ადამიანთან, როგორც შაშვი. მისი ხასიათიც კი ჩვენსას ჩამოჰგავს: მოუსვენარია, ცაში ფრენისასაც მარდია და მიწაზეც უცებ შეუძლია პოზიციის შეცვლა. ალბათ, ყოველივე ეს შაშვს ცხოვრებამ ასწავლა. ჩვენ კი, ცოდვა გამხელილი სჯობს და, თავს უფლებას ვაძლევთ, შაშვებზე ვინადიროთ, იარაღითაც, შურდულითაც, ხანდახან ქვითაც კი...

შაშვმა გალობაც განსაკუთრებული იცის! მავანი იტყვის, ბულბულს მაინც ვერ სჯობნისო, მაგრამ ეს უკვე გემოვნების საკითხია: ვიღაცას საოპერო არიები მოსწონს, სხვას — ხალხური სიმღერები, მე ხალხური მირჩევნია.

ქართულ პოეზიაში, ფოლკლორში შაშვისადმი მეტი სტრიქონია მიძღვნილი, ვიდრე ბულბულისადმი, რომელ ჩვენგანს არ ახსოვს, თუ როგორ იწყება ჩვენი ხალხური ზღაპრები: „იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი, ჩვენი მწყალობელი...“

აფხაზეთის სახალხო პოეტის ივანე თარბას შესანიშნავი ლექსიც მახსოვს, რომელიც შაშვს ეძღვნებოდა.

სოხუმის მთაზე ბევრი შაშვი ბინადრობდა. ძალიან მიყვარდა შაბათ-კვირას იქ ასვლა: სოხუმის მთის კალთის ძირას სახლის მშენებლობა შემთხვევით კი არ დამიწყია...

მთაზე ოჯახის წევრებიც ამყავდა, ხანდახან ძალითაც კი, ტკბილია აკრძალული ხილი — ახლა კი მოინდომებენ იქ ასვლას, მაგრამ...

მთაზე ჩვენი საყვარელი ადგილიც გვქონდა შეგულებული, საიდანაც შესანიშნავად მოჩანდა ქალაქიც, ზღვაც, პორტიც...

ჩვენს სოხუმელ შაშვს სრული ბედნიერებისთვის ყველაფერი ჰქონდა: დიდებული და მრავალფეროვანი სუბტროპიკული მცენარეული საფარი — ნაირ-ნაირი ხეები, ხშირი ბუჩქები, სადაც პირსაც ჩაიტკბარუნებდა და თავის ბუდეს, გულის სწორს, ბარტყებს უამინდობასა და მტრის თვალსაც მოარიდებდა...

ნეტავი თუ აცნობიერებდა მაშინ, რომ სწორედ ეს არის ნამდვილი „ჩიტური“ ბედნიერება? არადა, ყველაფერი ისეთი ჩვეულებრივი ჩანდა, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო... საბრალოს, ალბათ, ეგონა, ქვეყნად ყველა შაშვი ასეთ პირობებში ცხოვრობსო...

ერთხელ ქალაქში რაღაც შფოთიანად დაჰბერა ქარმა და ბუჩქებიცა და საუკუნოვანი ხეების ტოტებიც მიწას გაართხა. ის იყო, ჩვენმა სოხუმელმა შაშვმა გაიფიქრა, სად დავემალო უამინდობასო, რომ პორტში უზარმაზარ, ლამაზ გემს მოჰკრა თვალი. ჰოდა, გემზე აღმართულ ანძაზე შემოჯდომა გადაწყვიტა. იქ ქარი ასე ძლიერ არ უბერავდა, ანძის სიმაღლიდან გადაშლილი სამყარო კი უცნობი და საინტერესო ჩანდა. ირგვლივ ცნობისმოყვარე მზერის ცეცებაში შაშვმა ვერც კი შენიშნა, როგორ გავიდა გემი ღია ზღვაში. რამდენიმე ხანში, წყლის გარდა, გარშემო ვეღარაფერი დაინახა. არა უშავსო, გაიფიქრა შაშვმა, გადაივლის უამინდობა, შემდეგ კი კვლავ ჩემს ბუდეს დავუბრუნდებიო. თუმცა, ასე მარტივად როდი იყო საქმე! როდესაც შაშვმა დაბრუნება გადაწყვიტა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვეღარც ნაცნობი ხეები აღმოაჩინა და ვეღარც ის ბუჩქი, სადაც მისი თბილი ბუდე იყო ჩამალული, რადგან მიწა საერთოდ აღარ ჩანდა, თიოეული გაფრენისას ანძაზე დაბრუნებას ჩქარობდა და მისი დაკარგვისაც ეშინოდა — თოლიასავით ზღვაზე ცხოვრებას როდი იყო მორგებული!

განა ზღვაზე ფრინველები არ ცხოვრობდნენ? რა თქმა უნდა, მაგრამ ისინი სულ სხვანაირები იყვნენ, სულაც არ ჰგავდნენ იმათ, ვისაც ის შეჩვეოდა, ვისთან ერთადაც გაიზარდა და დაფრთიანდა, ვისთანაც მეგობრობდა, ისინი სხვანაირად დაფრინავდნენ, სხვანაირად დადიოდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ, გალობდნენ... ყველაფერს სხვანაირად აკეთებდნენ!

შაშვმა არაერთხელ მოიკრიბა ძალა, მიიფრინ-მოიფრინა არემარე მშობლიურ მხარემდე მიღწევის იმედით, მაგრამ მიწა მაინც ვერ აღმოაჩინა და კვლავ ანძაზე დაბრუნდა, რომელსაც უკვე შეჩვეოდა კიდეც. დროთა განმავლობაში კი ანძა მისთვის თითქმის მშობლიური გახდა და იმაზე ფიქრიც კი დაიწყო, რომ მისი მდგომარეობა არც ისეთი საშინელი იყო...

„ნუ აგდებ ცაში ქვას“...

ათეიზმი თხელი ყინულია, რომელზეც ერთი ადამიანი გადაივლის, მაგრამ მთელი ერი უფსკრულში ჩავარდება.

ბეკონი

რწმენა ერის სულია. როცა ის ქრება, ერი უსიცოცხლო გვამს ემსგავსება.

თ.დოსტოევსკი

მოსკოვი, კრემლი. აქედან მაცხოვრის ტაძრამდე 500-700 მეტრია.

კრემლიდან გამოსული, თუ ტაძრისკენ არ წახვალ და მარცხნივ, „კამენნი მოსტისკენ“ გაუხვევ, ამდენსავე მეტრში, მოსკვა-რეკას სანაპიროზე, სერაფიმოვიჩის ქუჩაზე დგას ცნობილი სახლი, რომელშიც საბჭოთა სახელმწიფოს მრავალ ხელმძღვანელს უცხოვრია.

ამ სახლთან ახლოს, მოსკვა-რეკას მარჯვენა სანაპიროზეევე, ღია ცის ქვეშ, პარკ-მუზეუმია განთავსებული.

1993 წლიდან, მას შემდეგ, რაც ოჩამჩირე და მამისეული სახლი დავტოვე, ამ პარკში თითქმის ყოველ დილით დავდიოდი.

მაინც რით გამოირჩევა ეს პარკი? ზუსტად იმ პერიოდში, 1993 წელს, როცა მოსკოვში ჩავედი, სწორედ აქ ეზიდებოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ყოფილი ბელადების ძეგლებს და პირდაპირ მიწაზე ჰყრიდნენ. ვის აღარ ნახავდით! ლენინი, სტალინი, ძერჟინსკი, კალინინი, სვერდლოვი, ბაუმანი და სხვა მოღვაწეები — მომტვრეული ხელებით, ფეხებით, ცხვირებით, ყურებით, დამახინჯებული სახეებით.... მინდა გითხრათ, საკმაოდ არასასიამოვნო სანახაობა გახლდათ.

მოსკვა-რეკას მეორე სანაპიროზე კი, იმავე წელს, მაცხოვრის ტაძრის აღდგენა დაიწყო, რომელიც ოდესღაც ამ ათეისტი ბელადების გადაწყვეტილებით დანგრიეს. მთელი თავისი დიდებულებით გაბრწყინებული მაცხოვრის ტაძარი ახლა უკვე მთელ მოსკოვს ანათებს. ჭეშმარიტი ნათქვამია: **„მოკვდავს ზეცა როდის დაუმარცხებია!“**.

ბიბლიურ წინასწარმეტყველებას ეხმაურება ბრძენი ომარ ხაიამის სიტყვები: **„ვინც ქვას ცაში ისვრის, ის ქვას თავში იცემს“**. ეს ხშირად, თითქმის ყოველ დილით მახსენდება, ხანდახან კი საღამოობითაც, როდესაც მაცხოვრის ტაძრის ბრწყინავი გუმბათების გასწვრივ სანაპიროს მივუყვები, შემდეგ კი პარკში შევდივარ და დაგმობილ-დამხობილ ბელადთა გარემოცვაში დავსეირნობ.



შესანიშნავი ასაკი!

სიბერეს თავისი ფერები აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინიც ხუნდება

პარკში ერთ-ერთი გასეირნებისას ყურადღება მიიქცია მეტად აკურატულმა მოხუცმა, რომელიც სუფთა ჰაერზე ჩემსავით დილის მოციონს ასრულებდა.

შემდეგი შეხვედრისას უკვე მივესალმეთ ერთმანეთს და ძველი ნაცნობებივით გამოველაპარაკეთ.

— მაპატიეთ, თუ ღმერთი გწამთ, ვერ მეტყვით, რამდენი წლისა ბრძანდებით? — დავინტერესდი.

— ოთხმოცდაოთხის, — მხნედ მიპასუხა მოხუცმა, — თქვენ?

— სამოცდაოთხის.

ჩემმა თანამოსაუბრემ შემფასებელი მზერით ამხედჩამხედა და თბილად გამიღიმა:

— შესანიშნავი ასაკია!

შემოდგომა წვიმებით დიდხანს დასტირის წარსულ ზაფხულს, მერე კი მაინც ყოველთვის ზამთრის შესახვედრად მზადებას იწყებს.

პირველ წვიმამდე!

ყველა ადამიანი სხვადასხვაგვარად იყიდება. მაშინ რატომღა ვგმობთ პროსტიტუციას?

გი დე მოპასანი

ისევე როგორც ყველგან, ძველისძველ შავიზღვისპირა ქალაქ ოჩამჩირეშიც ცხოვრობდნენ უძველესი პროფესიის წარმომადგენლები — ქალები, რომლებისკენაც ღამით ილტვიან, ხოლო დღისით დარცხვენით თვალს არიდებენ ან სალმის გარეშე ჩაუვლიან გვერდით. ოღონდაც, ჩვენს ქალაქში ამ სიყვარულის ქურუმებს განსაკუთრებული, „ურთიერთობის“ ოჩამჩირეული ხელწერა ახასიათებდათ.

ერთ-ერთს, ლიდას, რუსთაველი მხოლოდ იმიტომ შეარქვეს, რომ დიდი პოეტის სახელობის ქუჩაზე ცხოვრობდა. ლიდას მომსახურება 10 მანეთი ღირდა, თუმცა იმ დროს, თუმნიანს კი არა, მანეთსაც კარგი ფასი ედო.

ლიდას მეზობლად ახალგაზრდა კაცი, სახელად ბაჩი ცხოვრობდა. ერთ მშვენიერ დილას ბაჩის ქალთან სიახლოვე მოენატრა. სურვილი, როგორც ვიცით, მავნებელი როდია. მით უმეტეს, როცა სურვილის ობიექტი იქვე, ყურის ძირშია. მაგრამ, დახეთ უბედურებას: სად ჰქონდა ბაჩის მხსნელი თუმანი! ვნება კი თავისას არ იშლიდა. ამიტომ ბაჩიმ სირცხვილი დაივიწყა და, ქველმოქმედების გრძნობის იმედად, მეზობლისკენ გაემართა. ქალმა ახალგაზრდა კაცი თბილად მიიღო, მაგრამ როგორც კი მან ყოყმანით ახსენა, რომ ფული არ ჰქონდა, გადაჭრით მიუთითა კარისკენ.

— კი, მაგრამ ჩვენ ხომ მეზობლები ვართ, — ევედრებოდა ბაჩი, — მეზობელი კი, ჯადოსნური ჯოხივით, ნებისმიერ დროს შეიძლება გამოგადგეს.

— მოდი, ჯოხი ჯერჯერობით შენთვის დაიტოვე. რაც შეეხება მეორე ნაწილს, მართალს ამბობ. სახურავიდან წვეთავს. მოდი, შეაკეთე და მერე ვილაპარაკოთ.

ბაჩი წამში მოექცა თავზე შენობას, დაზიანებული სახურავი კარგად ამოქოლა და, სახეგაბრწყინებული, კვლავ მეზობელი ქალის წინაშე წარდგა.

— სახურავი წესრიგშია! — უპატაკა მან.

— გმადლობ, მეზობელო, მიხსენი, — უთხრა ლიდამ, შევიდა სახლში და კარი მიუხურა.

— მოიცა, მოიცა, შენ ხომ შემპირდი? — აკანკალებული ხმით წარმოთქვა ბაჩიმ.

— როგორ არა, შეგპირდი, — დაეთანხმა ლიდა, — მაგრამ ხომ უნდა დავრწმუნდე, რომ ხვრელი მართლაც ამოიქოლა და წყალი არ გამოჟონავს! ამის შემოწმება კი მხოლოდ წვიმის შემდეგ შეიძლება. განა ასე არ არის? აი, თუ სახურავიდან წყალი აღარ ჩამომივა, მერე მობრძანდი!

როგორ დაეკარგა ინგიშტერს მადა

ინგიშტერი თანხების გადახარჯვის გამო ციხეში მოხვდა. მასთან ერთად საკანში ისხდნენ პატიმრები სსრკ-ს სხვადასხვა რესპუბლიკიდან, ასევე საქართველოდან — მეგრელი და კახელი. ბუნებრივია, ინგიშტერი მათ უფრო დაუახლოვდა.

ერთხელაც, მან ხმამაღლა წაიოცნება:

— რა იქნებოდა, — ეუბნება მეგრელს მეგრულად, — ახლა ერთი ჩვენებურად გვასადილა. ღომსა და კარგად შენელებულ ლობიოზე არ ვიტყოდი უარს, ტყემალში ჩადებულ თხის ხორცის ნაჭერზე, კარგ სულგუნზე. ამ ყველაფერს კი „იზაბელას“ მივაყოლებდი...

კახელმა, რომელსაც მეგრული სულაც არ ესმოდა, მაგრამ ცალკეული სიტყვებით მიხვდა, რომ საქმე საჭმელს ეხებოდა, გადაწყვიტა, მენიუ თავისი საყვარელი კერძებით გაემდიდრებინა.

— კახური ცხვრის ყველიც რა კარგი იქნებოდა!.. — თქვა მან.

ინგიშტერი დაიჭყანა, სიბრალულით გადახედა კახელს და მეგრელს უთხრა: — აი, ვირი! რა სუფრა გაგვიფუჭა თავისი მყრალი ყველით!

მეზობელი რომ არა...

ინგიშტერის მეუღლე თამარა, დიდი სოკრატეს მეუღლე კსანტიპასავით, ხშირად კაპასობდა და მეუღლით უკმაყოფილო გახლდათ. ჩვენი გმირის ხასიათიდან და ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ეს გასაგებიც იყო.

მაგალითად, ერთ დილას მეუღლეები წაკამათდნენ:

— მაინც, რატომ სვამ ამდენს, რატომ თვრები? გუშინაც ისეთ მდგომარეობაში გამომეცხადე, მეზობლების დაუხმარებლად ვერც ჩექმებს გაგხდიდი და ვერც შარვალს.

— ქალო, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, რაც ერთად ვართ, შენთვის არაერთხელ ძლივძლივობით გამიხდია საცვალი, მაგრამ, მითხარი, ერთხელ მაინც თუ მითხოვია მეზობლებისთვის დახმარება?!

ვერ ვიპოვე

ერთხელ თამარა მორიგი ღრეობის შედეგად ინგიშტერის ჩასველებულ ნიფხავს რეცხავდა და თან ქმარს ქოქოლას აყრიდა:

— უკვე შევეგუე, რომ სიცოცხლის ბოლომდე ასე უგრძნობლად უნდა დათვრე ხოლმე. მაგრამ ნუთუ ეს ერთი რამ მაინც ვერ უნდა შეიგნო? სანამ მოშარდავ, ეს შენი ავლადიდება შარვლიდან ამოყავი, რა!

— ტყუილად კი არ უთქვამთ, ქალს ქათამზე მეტი ტვინი არ აქვსო, — შეეპასუხა ინგიშტერი, — ამოღება როგორ არ ვცადე, მაგრამ ვერ ვიპოვე. აბა, რას იპოვიდი მარტო, თანაც მთვრალი! არ გახსოვს, ახლახან ღამით ორივენი ფხიზლები ვეძებდით ჩემს ავლადიდებას, მაგრამ ვიპოვეთ?!

სავარუდოდ როგორ განვითარდება მოვლენები?

– ბატონო ვლადიმერ, ბერლინში, უკრაინის საკითხზე „ნორმანდიული ოთხეულის“ ფორმატში გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და უკრაინის მაღალი რანგის დიპლომატების მონაწილეობით შეხვედრა გაიმართა. გერმანიის საგარეო უწყებამ გაავრცელა ინფორმაცია ბერლინის შეხვედრაზე მიღწეული „მცირედი წინსვლის“ შესახებ – ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გაიმართება სატელეფონო საუბრები, ხოლო შემდეგ — პრეზიდენტების შეხვედრა ასტანაში, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნება მიღწეული. საუბრობენ იმაზეც, რომ ახალი წლის დღესასწაულების შემდეგ რუსეთი აქტიურად ჩაერთვება სამშვიდობო პროცესში. როგორ შეაფასებდით ბერლინში გამართული შეხვედრის შედეგებს და რამდენად რეალისტურად გამოიყურება უკრაინასთან მიმართებაში კრემლის გეგმები?

– გასული წლის ბოლო დღეებში პრეზიდენტმა პოროშენკომ „ნორმანდიული ოთხეულის“ ფორმატის ფარგლებში დააანონსა 15 იანვარს ასტანაში, უმაღლეს დონეზე შეხვედრის შესაძლებლობა. ბერლინში გააქტიურებული მოლაპარაკებები სწორედ ასტანის შეხვედრის მოსამზადებლად გაიმართა. სინამდვილეში კი, ე.წ. „ნორმანდიული ფორმატის“ გააქტიურება დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩიხშია შესული მინსკის მოლაპარაკებების პროცესი. ეს პროცესი ჩიხში დეკემბერში კი არ შესულა, არამედ მას შემდეგ, რაც 2 ნოემბერს დონბასისა და ლუგანსკის სეპარატისტულ რესპუბლიკებში გაიმართა „არჩევნები.“ სწორედ ამ „არჩევნების“ ჩატარებით დაირღვა სექტემბერში მინსკში მიღწეული შეთანხმებები. ეს შეთანხმებები ითვალისწინებდა დონბასში უკრაინის კანონმდებლობით ადგილობრივი ორგანოების არჩევნების ჩატარებას და არა სეპარატისტული რესპუბლიკების ორგანოების არჩევნებს. იმავე შეთანხმებით, ნავარაუდევი იყო დონბასის იმ ნაწილისათვის, რომელსაც სეპარატისტები აკონტროლებენ, განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება, ასევე ამნისტიის გამოცხადება. ანუ, საუბარი იყო ვითარების დასარეგულირებლად ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გატარებაზე. ყველაფერი ეს ჩიხში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც 2 ნოემბერს არჩევნები ჩატარდა.

მინსკის მოლაპარაკებების რეანიმირებას შეეცადნენ ევროკავშირი და აშშ. რამოდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ დეკემბრის ბოლოს მინსკში შეხვედრა კი გაიმართა, მაგრამ მასზე რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღწეული, გარდა ტყვეთა გაცვლისა. მასზე გაირკვა, რომ მხარეების პოზიციები ძალიან შორსაა კომპრომისისაგან. ამიტომ გახდა აუცილებელი, ამ ჩიხიდან გამოსვლის გზები მოძებნილიყო. ამისათვის გამოყენებულ იქნა ტრადიციული მეთოდი, ანუ ფორმატის გაფართოება, რაც მანამდეც იყო გამოყენებული. ასე გაჩნდა „ნორმანდიული ფორმატი“.

რაში შეიძლება იყოს მისი შესაძლო კონსტრუქტიულობა? საქმე ის არის, რომ „ნორმანდიულ ფორმატში“ შუამავლების როლში არიან საფრანგეთი და გერმანია. პუტინი ამ ქვეყნების ლიდერების აზრს ხანდახან მაინც ითვალისწინებს. ანუ, პუტინი, ამერიკელებისაგან განსხვავებით, მათ შუამავლებად აღიარებს. ამ ქვეყნებს პუტინი რუსეთისთვის სტრატეგიულ პარტნიორებად, ხოლო აშშ-ს მოწინააღმდეგედ და კონკურენტად განიხილავს. რუსეთი აშშ-სთან პირდაპირი მოლაპარაკებებს კი აწარმოებს, მაგრამ მას შუამავლად არ იღებს.

ბერლინის შეხვედრის მიმართ განსაკუთრებული მოლოდინი არ მქონია, ვინაიდან მისი მიზანი იყო ჩიხში შესული მინსკის მოლაპარაკებების ჩიხიდან გამოყვანა. საგარეო უწყებების პოლიტიკური დეპარატამენტების ხელმძღვანელები გადაწყვეტილებებს არ იღებენ. ისინი მხოლოდ ამზადებენ შეთანხმებების პროექტებს. უნდა გვესმოდეს, რომ მოლაპარაკებების პროცესი სხვადასხვა დონეებზეც მიმდინარეობს. მინსკის მოლაპარაკებებზე გადაწყვეტილებები არ მიიღება, იქ ხდება სხვადასხვა დონეებზე მიღწეული კომპრომისული შეთანხმებების გაფორმება.

– ცნობილი რუსი პოლიტოლოგი და პუბლიცისტი ევგენი ილხოვი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ასტანა-2015“ შეიძლება აღმოჩნდეს ანტიიალტა. ანუ, თუ იალტაში რუზველტმა და ჩერჩილმა აღიარეს სტალინის უფლება PAX SOVETIKA-ზე, ასტანაში, პრაქტიკულად „ანტიალტურ კონფენფერენციაზე“ პუტინი საბოლოოდ იტყვის უარს PAX SOVETIKA-ს შექმნის გეგმებზე. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია ამგვარი მოლოდინები?

– მე ამგვარი დასკვნების გაკეთებისაგან თავს შევიკავებდი. დღეისათვის, ასტანაში არც ახალი იალტის ან ანტიიალტისათვის არანაირი წინაპირობა არ არსებობს. მეტიც, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ასტანაში დაგეგმილი შეხვედრის გამართვა. ამ შეხვედრისთვის მზადება დაწყებულია. ძალიან კი უნდათ, რომ იგი გაიმართოს, მაგრამ ჯერ არ არსებობს იმის არანაირი წინაპირობა, რომ მხარეები ასტანაში კომპრომისისთვის მზად იქნებიან. შესაბამისად, არ არსებობს იმის თქმის საფუძველიც, რომ ასტანის შეხვედრაზე, რადიკალურად რევოლუციური რამ მზადდება და მოხდება.

უნდა გვესმოდეს, რომ პუტინი ტაქტიკოსია. მას არა აქვს უკრაინასთან მიმართებაში მოქმედების გეგმა, მაგრამ უარს არ იტყვის სეპარატისტული რესპუბლიკების მხარდაჭერაზე. ვერანაირად ვერ გავიზიარებდი რუსულ მედიაში გავრცელებულ ცნობებს, რომ კრემლმა ხელი აიღო დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების მხარდაჭერაზე.

ჩემი აზრით, ახლა გვთავაზობენ ორ ამგვარ ტაქტიკურ სქემას - 1. ორი სეპარატისტული რესპუბლიკა იქნება უკრაინის შემადგენლობაში, მაგრამ მათ უნდა ჰქონდეთ უფართოესი ავტონომიური უფლებები და რუსეთთან განსაკუთრებული კავშირები. ანუ, ისინი უნდა გახდნენ კონდონიუმები, რომლებიც ფორმალურად უკრაინის დაქვემდებარებაში იქნებიან, მაგრამ რეალურად – რუსეთის. მეორე სცენარი შეიძლება იყოს კონფლიქტის გაყინვის მცდელობა. ამ სცენარის წარმატებით განხორციელებას უნდა მოემსახუროს ის მოლაპარაკებები, რომელიც სხვადასხვა ფორმატში მიმდინარეობს. ანუ, კრემლი შეეცდება, სეპარატისტული რესპუბლიკების წარმომადგენლები აქციოს მოლაპარაკებათა პროცესის სრულუფლებიან მონაწილეებად. მოვლენათა განვითარების ორივე სცენარი უკრაინისთვის მიუღებელია.

– ფაქტია, რომ დაწესებული ეკონომიკური სანქციების გამო რუსეთის ეკონომიკა საკმაოდ ზარალდება. პუტინი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სწორედ მათ გამო მიდის კრემლი კომპრომისებზე, მაგრამ კომპრომისები რეალურად არც ჩანს. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს პუტინი იმედოვნებს, რომ დასავლეთი გაიგებს – ყირიმისა და უკრაინის გამო რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭებას აზრი არა აქვს. სხვათა შორის, გაუგებარი რჩება, რატომ ჩავიდა ასტანაში ვიზიტით მყოფი საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი მოსკოვში პუტინთან შესახვედრად. თუ გავიხსენებთ ოლანდის განცხადებას იმის შესახებ, რომ თუ რუსეთმა ხელი აიღო დონბასზე, შესაძლებელია, რუსეთს მოეხსნას დაწესებული სანქციები, ასევე გაუგებარი ხდება უკრაინაში რუსეთის ქმედებების მიმართ დასავლეთის პოზიცია. რა უნდა ვიფიქროთ, დასავლეთმა კრემლის წინაშე უკან დაიხია?

– არა, დასავლეთს უკან ნამდვილად არ დაუხევია. საქმე გვაქვს ევროკავშირის შიგნით რიგი დასავლელი ლიდერების განსხვავებულ პოზიციებთან. ახლა შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს უკრაინული კონფლიქტის მოგვარებაზე ოლანდსა და მერკელს შორის პოზიციების განსხვავება. ოლანდმა სანქციების დაწესების შესაძლებლობის შესახებ მოსაზრება გამოთქვა, მაგრამ არა ახლავე, არამედ მას შემდეგ, თუ პუტინი რეალურ კომპრომისებზე წავა. საუბარი არ არის სანქციების უპირობოდ გაუქმებაზე. უნდა ითქვას, რომ რუსეთი კარგად ახერხებს, ითამაშოს იმ აზრთა სხვადასხვაობაზე, რაც ევროპაში რუსეთის მიმართ არსებობს.

რაში მდგომარეობს ევროპელთა პოზიციაში მოქნილობის ელემენტების არსი? ევროპელებს ეშინიათ რუსეთის ეკონომიკის სრული კრახის. ეს არა მარტო მნიშვნელოვნად დაარტყამდა ევროპის ეკონომიკას, არამედ კიდევ უფრო არაპროგნოზირებადს გახდიდა პუტინისაც და კრემლსაც. მათ ასევე აშინებთ რუსეთში ეკონომიკური ვითარების მკვეთრად გაუარესება, რაც შიდა პოლიტიკაზე სერიოზულად აისახებოდა. ევროპელები გაწონასწორებული პოლიტიკოსები არიან და, შესაბამისად, ეძებენ გზებსა და ვარიანტებს რუსეთთან კომპრომისის მისაღწევად. რომელიღაც ევროპელმა პოლიტიკოსმა თქვა კიდეც, რომ მათ არ უნდათ „პუტინის კუთხეში მომწყვდევა და დამარცხება“. მიუხედავად ამისა, ისინი მისგან ელოდებიან გარკვეულ პოზიციებში ცვლილებებს.

ზურაბ ადეიშვილი შეიძლება, უკრაინის გენპროკურორის მოადგილედ ან პროკურორის მრჩევლად დაინიშნოს?

რუსეთსა და უკრაინას შორის მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარებზე „ინტერპრესნიუსი“ კიევის პოლიტიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელს ვლადიმერ ფესენკოს ესაუბრა.

რაც შეეხება ოლანდის ვიზიტს მოსკოვში. ჩემი აზრით, „ნორმანდიულ ფორმატში“ ასტანაში შეხვედრის გამართვის იდეა ასტანაში ოლანდსა და ნაზარბაევის შეხვედრაზე გაჩნდა. ნაზარბაევის დახმარებით გაიმართა მოსკოვში პუტინსა და ოლანდს შორის გამართული შეხვედრა. შესაძლოა, ოლანდმა გადაწყვიტა, ნაზარბაევის შუამავლობა შემდეგაც გამოიყენოს.

კიდევ ერთ პრინციპულ საკითხს მინდა შევეხო. არ გამოვრიცხავ, რომ ასტანაში დაგეგმილი შეხვედრა არ დაუკავშირდება მხოლოდ უკრაინულ კრიზისს. ალბათ, ნაზარბაევიცა და პუტინიც კიდევ დააყენებენ ერთ თემას, კერძოდ იმ საკითხს, რომელიც მათ აგვისტოს ბოლოს მინსკში დააყენეს. საუბარია ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს შორის ურთიერთობის ფართო მოდელის შემუშავებაზე და შესაბამისად ამ კონტექსტში უკრაინის კონფლიქტის მოგვარებაზე. ანუ, საუბარია ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს შორის დიდი კომპრომისის მიღწევაზე.

– თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს შორის შეიძლება კომპრომისების მიღწევა?

– ჩემი აზრით, კომპრომისის მისაღწევად როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან არსებობს გარკვეული ზღვარი. რუსეთი უარს არ იტყვის დონბასისა და ლუგანსკის სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერაზე, იგი შეეცდება მათზე კონტროლის ქონას, ფორმალურად მხარს დაუჭერს უკრაინის სუვერენიტეტს, მაგრამ რეალურად მათ თავს არ დაანებებს. გარდა ამისა, კრემლი როგორც ადრე, აუცილებლად დაყენებს უკრაინის ნატო-ში გაუწევრიანებლობის საკითხს. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებდა უკრაინის სუვერენიტეტს, მაგრამ როგორც ევროპელი, ისე ამერიკელი პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, ამ თემებზე მსჯელობა შესაძლებელია.

იმის თქმა მინდა, რომ შესაძლოა, ეს თემა ფიგურირებდეს კიდეც ასტანის შეხვედრაზე, მაგრამ ამ საკითხებზე სერიოზული კომპრომისების მიღწევა ასევე სერიოზული გარანტიების ქვეშ ძნელად წარმომიდგენია. ისე, ყველა თემაზე მსჯელობა შესაძლებელია. რაც შეეხება უკრაინას, უკვე ვთქვი, რომ კიევისთვის დონბასის რესპუბლიკების სტატუსი მიუღებელია, მაგრამ ამ საკითხზე ევროპელების პოზიცია უფრო რბილია და არ გამოვრიცხავ, რომ მათ ამ საკითხში თავისი პოზიციების არა რევიზია, არამედ კორექცია მოახდინონ. კერძოდ, ეს შეიძლება შეეხოს უკრაინასა და რუსეთს შორის და უკრაინასა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს.

– კრემლის გამზმოვანებელი ექსპერტების მტკიცებით, ახლა პუტინს ომზე მეტად მშვიდობა და რუსეთისათვის დაწესებული სანქციების მოხსნა უნდა. ასევე ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ პოროშენკოსაც სჭირდება მშვიდობა ქვეყანაში რეფორმების გასატარებლად, რომ პუტინსა და პოროშენკოს შორის არსებობს კონტაქტები. მეტიც, ბევრს საუბრობენ იმაზეც, რომ ოპოზიციურ ფლანგზე ადგილი „სუფთავდება“ მოძრაობა „უკრაინული არჩევანის“ ლიდერ მედვედჩუკისათვის, რომელიც პუტინის ნდობით აღჭურვილი პირია. რამდენად საფუძვლიანია მტკიცებები, რომ სხვადასხვა ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებების პარალელურად პუტინი და პოროშენკო აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ?

– პუტინსა და პოროშენკოს შორის დიალოგი არსებობს. თუმცა, ამ დიალოგში საკმად დიდი ხანი იყო პაუზა. მხედველობაში მაქვს ის, რომ 2 ნოემბრის შემდეგ მათ შორის კონტაქტი კარგა ხანს არ ყოფილა. რამდენადაც ვიცი მათ შორის კონტაქტები ნოემბერში აღდგა, მხედველობაში მაქვს პირდაპირი სატელეფონო საუბრები და ასევე კონტაქტები პუტინის ნდობით აღჭურვილ პირებთან. სხვათა შორის, ეს არ გახლავთ მედვედჩუკი, რომელიც თქვენ ახსენეთ.

შემიძლია პირდაპირ გითხრათ, რომ მედვედჩუკის მოლაპარაკებებში ჩართვის, მისთვის რუსეთთან მოლაპარაკებებში რაიმე ოფიციალური სტატუსის მინიჭების მცდელობას პოლიტიკურ წრეებში დიდი ხმაური მოყვება, ვინაიდან მედვედჩუკი ამგვარ მოლაპარაკებებზე უკრაინის ინტერესების დამცველი კი არა, პუტინის ინტერესების გამტარებელი იქნება. ეს პოროშენკომ კარგად იცის და იმასაც ხვდება, რომ ამგვარი ნაბიჯი რომ გადადგას, ეს მისთვის ცუდად დამთავრდება. ამიტომ, მედვედჩუკთან დაკავშირებული საუბრები არარეალისტურია. მაქსიმუმ, რაშიც შეიძლება იყოს ჩართული მედვედჩუკი, ეს ტყვეების გაცვლაა. ამას ადრე ჰქონდა კიდეც ადგილი, რამაც სხვათა შორის, ხელისუფლების კრიტიკა მოჰყვა.

ახლა რაც შეეხება იმას, რამდენად შესაძლებელია პოროშენკოსა და პუტინს შორის საიდუმლო მოლაპარაკებების გამართვა. ეს გამორიცხულია. არის კომპრომისების რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ პოროშენკოს აქვს ზღვრები, რომელსაც ის ვერ გადააბიჯებს. მას კიდეც რომ უნდოდეს გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა, ვერ წავა, რადგან იცის, რომ ეს კომპრომისები მიუღებელი იქნება უკრაინული საზოგადოებისთვის. უკრაინის რადა და საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამენ მინსკის მოლაპარაკებებით. პოროშენკომ იცის, რომ მას წითელი ხაზების გადაკვეთა არ შეუძლია, კიდეც რომ უნდოდეს, ამის უფლება არა აქვს.

– რა ვითარებაა დონბასში და რამდენად დიდია ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების განახლების ალბათობა?

– ჩემი აზრით, უახლოეს თვეებში, ყოველ შემთხვევაში ზამთარში, ამის ალბათობა არაა. ლოკალურად აქტიურობა შესაძლებელია, ლოკალურად ახლაც ხდება მოქმედებები, მაგრამ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებებისთვის არც ერთი მხარე არაა მზად. რუსეთში ამგვარი ომის შესაძლებლობას ნოემბერში განიხილავდნენ, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ისინი მიხვდნენ, რომ ავიაციის გამოყენების გარეშე უკრაინული არმიის წინააღმდეგ სერიოზული შეტევის დაწყებასა და წარმატების მიღწევაზე საუბარი შეუძლებელი იქნებოდა. მათ იციან, რომ ავიაციის გამოყენებას მოჰყვებოდა ეკონომიკური სანქციების ახალი ტალღა, რაც ახლა პუტინისთვის მიუღებელია. სამწუხაროდ, გაზაფხულზე რუსული სამხედრო ძალების გააქტიურების რისკი არსებობს.

– თქვენი ინფორმაციით რა ვითარებაა ყირიმში?

– ჩემი ინფორმაციით, ყირიმში საკმაოდ რთული ვითარებაა. ტერორისტულ აქტები მოხდა ხარკოვსა და ოდესაში. ტერორისტული აქტების გაზრდის საფრთხის გამო უკრაინამ გაამაცარა როგორც ყირიმიდან, ისე დონბასიდან ტრანსპორტის მოძრაობაზე კონტროლი. ბევრს კი საუბრობენ, რომ ყირიმი ბლოკადაშია, მაგრამ ჩემი ინფორმაციით ეს ასე არაა. ჩრდილოვანი ბიზნესი ჰყვავის, მის შედეგებს იყენებენ სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელები. ჩრდილოვანი ბიზნესის წინააღმდეგ ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა, მაგრამ ეს გარკვეულ წრეებს არ მოსწონთ. ვფიქრიობ, ეს დროებითი ღონისძიებებია, ანუ ხელისუფლება სეპარატისტებზე ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას ცდილობს.

– როგორ მუშაობენ პოროშენკოს მთავრობაში ქართველი კადრები? როგორი იყო მათ დანიშვნაზე საზოგადოების რეაქცია? და კიდევ, თქვენი ინფორმაციით, განიხილება თუ არა საპასუხიმგებლო თანამდებობაზე საქართველოს იუსტიციის ექს-მინისტრ ზურაბ ადეიშვილის დანიშვნა, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული?

– დიახ, ამაზე საუბრები ნამდვილად იყო. კერძოდ, საუბარი იყო კიდევ რამდენიმე ქართველისათვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ, რომელთა სამართალდამცავ ორგანოებში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის შესაძლებლობა განიხილებოდა.

– ეს საუბრები ზურაბ ადეიშვილსაც ეხებოდა?

– დიახ, საუბრები კი იყო, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებები ჯერ არ არის მიღებული. რამდენადაც მესმის, ახლა უკრაინის ხელმძღვანელობაში მიმდინარეობს დისკუსია სხვა ქვეყნის მოქალაქების თანამდებობებზე მოწვევის მიზანშეწონილობის შესახებ, როგორიცაა მაღალი თანამდებობები გენპროკურატურაში და ანტიკორუფციულ ბიუროში. რამდენადაც ვიცი, ზურაბ ადეიშვილი შეიძლება დაინიშნოს გენპროკურორის მოადგილედ ან პროკურორის მრჩევლად. სახელდება ასევე სხვა გვარებიც, მაგრამ, ვიმეორებ, ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არაა.

მეორე მხრივ, ზომიერება ყველაფერში კარგია. უკრაინული საზოგადოების ნახევარზე მეტმა უკრაინაში უცხოელების დანიშვნა პოზიტიურად აღიქვა და მიესალმა. რაც იმის ნიშანია, რომ ხალხს ჩვენი პოლიტიკოსების მიმართ ნდობა აქვს დაკარგული, ვინაიდან ისინი კორუფციულ სქემებთან თავად არიან დაკავშირებული. უცხოელებს ადგილობრივი კონტექსტი არ აქვთ, რაც მათ თამამი გადაწყვეტილებების საშუალებას მისცემს. მაგრამ, გადაჭარბება არაფერში არ ვარგა. ჯერჯერობით მოწვეული უცხოელების მიმართ დამოკიდებულება საკმაოდ კეთილგანწყობილი და პოზიტიურია. მათდამი დამოკიდებულებაში განსაზღვრელი იქნება ის, თუ რამდენად შედეგიანი და ეფექტური აღმოჩნდება მათი საქმიანობა ქვეყნისათვის.

კოგა გენდელიანი

◎ საგაზეთო წარდგინება

„პარადიგმების სამყარო“,

ანუ წიგნი მშვენიერსა და ალმატებულზე

უკანასკნელი იმედი ვარ, განწირულთა
და უპოვართა,
მწუხარე დროშა, გაქცეულთა,
დამარცხებულთა,
უკანასკნელი ხომალდი ვარ
წყალწაღებულთა...

გენო კალანდია

„საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ(!), ალბათ, უფრო განგების ნებით, გენო კალანდიას, როგორც პოეტსა და მამულიშვილს, დაეკისრა ის უმძიმესი მოვალეობა — წარმოადგენდეს საქართველოს აფხაზეთში და აფხაზეთს საქართველოში. ასე ცალ-ცალკე დაყოფაც, რა თქმა უნდა, პირობითია და დროებითი, რადგან ეს მიჯნა — „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“ — არის, არსებობს და მოქმედებს, სინამდვილეს თვალს ვერც დავუხუჭავთ და ვერც (ვერსად!) დავემალებით; და პოეტიც შეიქმნა (განგების ნებით!) ხიდად ორი ნაპირისა — როგორც სიტყვის — სიტყვა, კაცობის — სახე და ზნეობის (ზნეობრიობის!) — ხატი“.** ალბათ, წიგნის შესავალ, სეფე სიტყვაში, გინდაც ნაწარმოების შეფასებასა და გინდაც ავტორის საქებრად ნათქვამი ეს სიტყვები ნებისმიერ წიგნს წაგაკითხებს დაუფიქრებლად. **თემურ შავლაძის** ეს სეფესიტყვა აქვს წამძღვარებული მისსავე რედაქტორობით საახალწლოდ გამოცემულ **ციალა მესხიას** საკმაოდ სქელტანიან და გამომცემლობა „სვეტში“ დასტამბულ მონოგრაფიას **„პარადიგმების სამყარო“,** სადაც ჩინებული ქართველი პოეტის **გენო კალანდიას** პარადიგმების სამყარო, ლირიკული, მისტიკური, რელიგიური სივრცეები ტრადიციული და ინოვაციური რაკურსითაა წარმოდგენილი.



არამარტო თემურ შავლაძის წინასიტყვაობამ (რომლის ამონარიდიც ამ წერილის თავში მოვიყვანეთ) წამაკითხა ეს შესანიშნავი წიგნი, არამედ იმ უდიდესმა პატივისცემამ, რაც ჩემი უფროსი მეგობრის გენო კალანდიას მიმართ გამაჩნია. კიდევ ერთხელ გადავინაცვლე იმ შორეულ წარსულში, რომელსაც უზრუნველი, ლამაზი ბავშვობა ერქვა და მთელ ზაფხულს დედულეთში, სოხუმში ვატარებდი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ზოგიერთისთვის (რა თქმა უნდა, უმეტეს დროს), ბიძაჩემის, მწვანეში ჩაფლული ზღვისპირა სახლის შესანიშნავ ბიბლიოთეკაში. წიგნების უმეტესობა რუსულ ენაზე იყო, მაგრამ ჩემი გამზრდელი ბიცოლა „თამარა ფილიპოვნა“ ყოველთვის მახვედრებდა „ალაშარას“ გამოცემულ ქართულენოვან წიგნებს არამარტო ქართველი კლასიკოსებისას, არამედ აფხაზ შემოქმედთა ნაწარმოებებსაც. სწორედ აქ, ამ „წიგნთსაცავში“ გავიგე (რა თქმა უნდა, სიამოვნებითაც ვკითხულობდი) გენო კალანდიას, ჯანო ჯანელიძის, დავით აკობიას, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის, ჯუმა ახუბას სახელები. ამ ჩემს პატარა წიგნებსაც უცნაური ბედი ეწიათ — ჩვენს სახლში ჩასახლებულ ჩემს აფხაზ ნათესავს (ამაშიც ბედი მქონია) თუ ვენდობი — ხელი არაფრისთვის უხლია. და ეს ჩემი პოეტ-მწერლები, ზოგიც ცოცხალნი და უმეტესობა ზეციური საქართველოს მკვიდრნი მძევლად თუ იმედად არიან „გამოკეტილნი“ იმედად იმისა, რომ მე თუ არა, ჩემი შთამომავალნი აუცილებლად შეახებენ ხელს და მოცახცახე პალმების უცნაური აკომპანიმენტის ქვეშ კიდევ ერთხელ გადაიკითხავენ.

ოცდაორი წელია, ბატონი გენო, არ მინახავს სოხუმში, ოცდაოთხი წელია, ბატონ გენოს ვხვდები თბილისში ღიმილიანი მოკითხვითა და უდიდესი სევდაჩამდგარი თვალებით მზირალს. მის შემოქმედებაში ახალგაზრდობის დროინდელი მხიარული, დარდიმანდული ნოტები სევდამ, მისტიკამ და რელიგიურმა მოტივებმა შეცვალა, ფილოსოფიური გახადა უფრო მეტად, ვიდრე ადრე ლაღად საკითხავი. გენო კალანდიამ შეისუნთქა, დაიმორჩილა პოეზიის გაზრებისა და განცდის ყველა არსებული და არარსებული ფორმა. განგების ძალით მხატვრული სიტყვით გამოხატა ეპოქის სულისკვეთება, თავისი სათქმელი, გადავიდა წარსულში და ამით ქართველობის დიდი ნაწილის განწყობილებას დაეუფლა, მათი სულის სიმები სხვაგვარად შეარხია. სწორედ ამიტომაცაა ჩემთვის და არამარტო ჩემთვის გენო კალანდია პოეტი და არა ლექსმწერი. ღრმა ლირიზმი და მეტაფორული მეტყველება, უდიდეს კოლხურ მისტიკასთან ნაზიარევი მის შემოქმედებას განსაკუთრებულად თვალსაჩინოს ხდის. **„გენო კალანდია ძალზე ოსტატურად ფლობს ქართული თუ უცხოური ლექსის სხვადასხვა ფორმას. მას არ სჭირდება ვერსიფიკაციული ვარჯიშობანი და ფორმალისტური ძიებანი. რატომ? უბრალოდ ჭეშმარიტი პოეტია და იმიტომ“** (რენე კალანდია).

ძნელიაო იცხოვრო ისე, როგორც წერო. ამ მხრივ გენო კალანდია ბევრი პოეტისგან იმით განსხვავდება, რომ ცხოვრობს ისე როგორც წერს. ცხოვრობს იმ პრინციპებითა და ცხოვრების ნორმებით, რასაც თავის ლექსებში ამკვიდრებს. ამიტომაც არ არის მისი პოეზია ყალბი მისთვის, ვინც პირადად იცნობს პოეტს, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია ომამდე და ომის შემდგომ. რა შეიცვალა პოეტის მსოფლმხედველობაში? ბევრი არაფერი — ტკივილიანი გულისა და მხრებზე აკიდებული წლების მეტი. იგი კვლავ ერთგული რჩება თავისი პრინციპებისა. იგი მუდმივად გვთავაზობს ლექსის ახალ ვერსიფიკაციას, ახალ-ახალ ფორმებს, თემებს, არაორდინარულ მიდგომას მოვლენებისადმი. მიუხედავად უდიდესი ტკივილისა, მის პოეზიას არ აკლდება ჩვეული სილაღე, სილაღე და სიბრძნე მინიშნებებში, სიმბოლოებსა და საიდუმლოებით მოცულ მეტაფორებში. მისი სტროფები ინდივიდუალობითაა გამორჩეული და არსად მეორდება. სწორედ ეს ჰარმონიულობა განასხვავებს მას სხვათაგან.

ციალა მესხიას შესანიშნავ მონოგრაფიას უდიდესი დატვირთვა აქვს. როგორც აღნიშნავენ და მეც დავეთანხმები, „პარადიგმების სამყარო“ ენციკლოპედიური ნაშრომია. არაფერი ზედმეტი, არაფერი გაზვიადებული და მიკერძოებული, მხოლოდ ობიექტური შეფასება სიტყვის დიდოსტატისა, მის სულიერ სამყაროში შეღწევა და არა შეღწევის მცდელობა, უამრავი თაყვანისმცემლისა და პოეტის შემოქმედების ობიექტურად შემფასებლის მოხმობა, ერთად თავშეყრა და შესანიშნავ წიგნად ჩამოყალიბება. არავითარი გადამეტებული, ბევრისთვის გაუგებარი (მხედველობაში მყავს რიგითი მკითხველი) ტერმინოლოგია. ლაღად საკითხავი წიგნი-მონოგრაფია მართლაც დიდი საჩუქარია არამარტო გენო კალანდიას შემოქმედების თაყვანისმცემლებისთვის, არამედ ყველა მკითხველისთვის, ვისაც ჭეშმარიტი პოეზიის შეგრძნების პრეტენზია აქვს.

ისევ თემურ შავლაძეს მოვუხმობ და ამით დავამთავრებ „პარადიგმების სამყაროს“ თქვენთვის წარდგინებასა და მშვენიერი წიგნის წასაკითხად წინასწარი განწყობის შექმნას: **„და გვჯერა, ესაა წიგნი, რომელიც პოეზიას დაუბრუნებს მკითხველს, შეაგრძნობინებს და გააცნობიერებინებს, თუ რა არის სილამაზე, მშვენიერი და ამაღლებული“.**

მამუკა ვაშაკიძე

◎ სიტყვა კოლეგაზე

საქართველოა შენი სიხარულიც და სევდაც...

ეს წიგნი, ლამარა იანვარაშვილის „ვედრება“, რომელსაც მე შინაურულად „ლამარას წიგნი“ დავარქვი, ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, ცნობილმა ჟურნალისტმა და მწერალმა ზურაბ ლომიძემ გადმომცა. ოთარ, მეუბნება ზურაბი, ლამარა ჩემი თანაკურსელი მეგობარია, მთელი ხუთი წლის მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთად ვეუფლებოდით ჟურნალისტობის ტკბილ-მწარე პროფესიას. დედაქალაქში სასწავლებლად ჩამოსული თელაველი გოგონა მაშინვე გამოირჩეოდა ნიჭიერებითა და კეთილშობილებით, ფაკულტეტზე ყველას გვსურდა, ვყოფილიყავით მისნაირი სწავლაშიც, თავმდაბლობაშიც და, უბრალოდ, ადამიანურობაშიც. ვიცი, მისი კალმისა და საზოგადოებრივი ნაღვაწის მადლს შენც კარგად იცნობ და ამიტომ გთავაზობ მის შემოქმედებას. მჯერა, ამ წიგნის წაკითხვით ფრიად ნასიამოვნები დარჩები.



ვიცნობ რომელია, მე და ლამარა იანვარაშვილმა თელავის გაზეთ „ალაზნის განთიადის“ რედაქციაში მუშაობისას, შეიძლება ითქვას, ქართულ ჟურნალისტიკაში „ჯვარი ერთად დავიწერეთ“. ახლაც მახსოვს, ლამარას მეგობრული ხელი და პროფესიული თვალი როგორ მეხმარებოდა მე, არაპროფესიონალს (ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ვიყავი), ჟურნალისტად კურთხევის რთულ და საპატიო გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმაში, თუმცა, ჩვენი გზები მალევე გაიყარა, ორი წლის შემდეგ მე დედაქალაქის პრესაში გავაგრძელე საქმიანობა, ლამარა იანვარაშვილმა კი სამოღვაწეოდ პედაგოგიკა და მეცნიერება აირჩია და თვალსაჩინო წარმატებასაც მიაღწია — გახდა მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, მშობლიური თელავის უნივერსიტეტში წლების მანძილზე იყო პრორექტორი იდეოლოგიური მუშაობის დარგში, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, შემდეგ — ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ამასთან, არც კალამი გაუგდია ხელიდან, უნარიანად რედაქტორობს საუნივერსიტეტო გაზეთ „მოძღვარს“, უშურველად უძღვება კახეთის რეგიონის ქალთა საბჭოს საქმიანობას, მისი სამეცნიერო შრომები და მონოგრაფიები სისტემატურად ქვეყნდება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

ახლა მოკლედ (საგაზეთო ფორმატი მეტის თქმის საშუალებას არ იძლევა) თავად წიგნზე, რომლისთვისაც ავტორს საკუთარი სათქმელ-საღოცავის კვალობაზე მინიშნებით „ვედრება“ შეურქმევია. გაგიკვირდებათ და ეს არცთუ დიდი მოცულობის კრებული, რომელშიც ლამარა იანვარაშვილს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ჟანრის ნაწარმოებნი — ლიტერატურული მინიატიურები და ჩანახატები („ია, ია“, „მზეო გვითხარ“, „სიკეთე“, „სად ხარ ალაპკარა“ და სხვ.) მოგონებანი გარდასულ დღეთა (სამამულო ომის ექო), მიძღვნები, უხმოდ ნატირლები, შეგონებაში მშობელთათვის (მეცნიერული რჩევები) წერილები კულტუროლოგიიდან და სხვები — მინდვრად მოკრეფილი ყვავილებივით ერთ კონად შეუკრავს, მართლაც რომ ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ამ შემოქმედებითი „კოაბიტაციის“ ავტორი, დღევანდელი კრიტიკოსებისგან განსხვავებით, შესანიშნავად **„ახერხებს თანაბრად გაუნაწილოს გულწრფელი სიყვარული და ყურადღება** (წიგნის წინასიტყვაობიდან ამოღებული მაყვალა მიქელაძის აზრია) **მისი ირგვლივეთის სულიერსა და უსულო საგნებს: ადამიანებს, ასკილის ყვავილს, იას, ნუშის ხეს, წიფელს“.**

ყოველივე ამას თავად წიგნის ავტორი უკავშირებს დიდი შოთას სიბრძნესა და ვაჟა-ფშაველას უკვდავ პოეზიას, რომელსაც ის ბავშვობისას საოჯახო „ლიტერატურულ საღამოებზე“ დედამ და უფროსმა ძმებმა აზიარეს, ომიანობის წლებში, იხსენებს ქალბატონი ლამარა, ნავთის ლამპის მხრჩოლავ შუქზე საქმიანობდა მთელი ჩვენი ოჯახი: დედა ართავდა, ქსოვდა ან ჩეჩავდა, მამას ხის საგრეხელზე ფშავ-ხევსურული ორნამენტები გამოჰყავდა. ჩემი ძმები ვაჟა-ფშაველას პოემებს მონაცვლეობით კითხულობდნენ, მე წყნარად ვიჯექი და დიდი გულმოდგინებით ვისმენდი ალუდა ქეთელაურის, ზვიადაურის, ჯოყოლას, ლუხუმის, ზეზვას, კვირიას, ლელას, სანათას და სხვათა საგმირო საქმეებს. მათი თავდადება სამშობლოსთვის სიამაყის გრძნობით გვავსებდა“.

ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. ბავშვობის წლებიდან შემონაკადი თავანკარა სულიერება სიკეთის სანთლებად ანთია როგორც ჟურნალისტ იანვარაშვილის ლიტერატურულ ნოველა-მინიატიურებში, ისე მეცნიერ იანვარაშვილის პედაგოგიურ გამოკვლევა-ნაშრომებში, სადაც ის ყრმის აღზრდის სათუთ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო რჩევებს იძლევა. ცალკე ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში ერეკლეს ქალაქ თელავსა და თელაველებს, რომელთა სიცოცხლით ცოცხლობს, მათი სიხარული უხარია და ტკივილი სტკივა. ჰუმანისტი ავტორი გულით თანაუგრძნობს მსახიობებს, ყველა თელაველს დიდი თეატრალური ტრადიციების მქონე ქალაქში ძველი თეატრის შენობის დანგრევით გამოწვეული ტკივილის გამო. „მტარვალო, ქვეყნის „აღმშენებელო“ (გასაგებია, რომელ აღმშენებელსაც გულისხმობს), რატომ აგვაგლიჯე გულიდან თელავს და თელაველებს ეს სიყვარული? რატომ დაგვინგრიე, რატომ იავარჰყავი ჩვენი თეატრის ისტორიული ნაგებობა. ლოცვად გვინდოდა, რამეთუ ის იყო ქართული თეატრალური ხელოვნების თავისებური მემორიალი, უტყვი მოძღვარი ჩვენი სულისერებისა“ — იცრემლება ლამარა იანვარაშვილი მინიატიურაში „შენ რაღას გვერჩოდი, მტარვალო?!“

... ახლახან, ღვინობისთვეში, ლამარა იანვარაშვილის ნიჭის თაყვანისმცემელმა თელაველებმა (და არა მარტო მათ) ყველასთვის საყვარელ და სათნო ქალბატონს საიუბილეო თარიღი მიულოცეს. ძვირფას დასა და სიყრმის მეგობარს სიყვარული ლექსად აახლა პოეტმა ფარნაოზ რინაულმა: **„მზესიყვარული გშვენის, შენს რწმენის ვარსკვლავებს სდევ და... საქართველოა შენი სიხარულიც და სევდაც“.**

თელაველებო, თქვენს გულისნათქვამს დედაქალაქელი ჟურნალისტებიც ვუერთდებით.

ოთარ ხუციშვილი

◎ კალათბურთი

დუელი, რომელიც არ შედგა

ევროლიგის მეორე ჯგუფური რაუნდის მეორე ტურში მოსკოვს ქართული დერბისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ ცსკას თავკაცმა იტუდისმა რუსული კლუბის სათადარიგოთა სკამს მატჩის ბოლომდე არ მოაცილა მანუჩარ მარკოიშვილი.

რაც შეეხება ბასკური „კუჩა ლაბორალის“ ერთ-ერთ ლიდერს თორნიკე შენგელიას, რომელიც წლეულს მეორე ვაჟიშვილს ელოდება, თამაში ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 11 ქულას 5 მოხსნაც მიაშველა და პარტნიორთა შორის გამოირჩეოდა კიდეც.

ალბათ, მისი დამსახურებაცაა, რომ სტუმრებმა ღირსეული ბრძოლა გაუმართეს ტურნირის უმთავრეს ფავორიტს და სეზონში ჯერაც წაუგებელ მეტოქესთან საპატიო ანგარიშით დამარცხდნენ — 90:99.

შეხვედრის საუკეთესო კალათბურთელად არმიელთა ფრანგი ლეგიონერი ნანდო დე კოლო დასახელდა, რომელიც, მართალია, შედეგიანობით ჩამორჩა თანაგუნდელ სანი ვიმსს (22 ქულა), მაგრამ დანარჩენ კომპონენტებში გაიბრწყინა.

იმავე დღეს ახალგაზრდობა გაიხსენა მადრიდის „რეალის“ უბერებელმა ვეტერანმა ფერნანდო რეიესმა. მისმა 22 ქულამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა „სამეფო კლუბის“ დამაჯერებელი გამარჯვება თურქულ „გალათასარაისთან“ — 93:78.

„ოლიმპიაკოსი“ — „მილანი“ 81:58, „მაკაბი“ — „ცრვენა ზვეზდა“ 78:67.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ტურე აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი ზედიზედ მეოთხედ გახდა

კოტ დივუარის ეროვნული ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველი იაია ტურე აფრიკის 2014 წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. მეორე ადგილზე „დორტმუნდის“ სნაიპერი პიერ-ემერიკ ობამეიანგი გავიდა, ხოლო მესამე პოზიციაზე — ფრანგული „ლილის“ და ნიგერიის ეროვნული ნაკრების მეკარე ვინსენტ ენიამა.

სეზონის უპირველეს ფეხბურთელს აფრიკის ფეხბურთის კონფედერაცია 1992 წლიდან ავლენს. ტურე საუკეთესო მოთამაშე ზედიზედ მეოთხედ გახდა და კამერუნელი თავდამსხმელის სამუელ ეტოოს შედეგი გააუმჯობესა, რომელმაც 2003, 2004 და 2005 წელს პირველობა არავის დაუთმო. 2010 წელს „ბარსელონას“ ყოფილმა ფორვარდმა მეოთხედ იმარჯვა, „სიტის“ ფეხბურთელი კი ეტოოს ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა.

გიორგი ზოთაძე

◎ სოკი

ახალი ოფისი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ახალ ოფისში გადასვლას გეგმავს. სოკმა უკვე გამოავლინა კონკურსის გამარჯვებული, რომელიც შენობის პროექტზე იმუშავებს. ეს არის დანიური კომპანია 3XN.

ახალი შტაბ-ბინა კვლავ ლოზანაში, ამჟამინდელი რეზიდენციის გვერდით, შატო დე ვიდში აშენდება და მისი ფართობი 18 ათასი კვადრატული მეტრი იქნება, მთლიანად კომიტეტის ტერიტორია კი 2.4 ჰექტარს დაიკავებს.

სოკის თანამშრომელთა რიცხვი დღესდღეობით 600 კაცს შეადგენს, რომლებიც ხუთ სხვადასხვა ოფისში არიან გადანაწილებულნი, ახალ ოფისში კი შესაძლებელი იქნება ყველანი ერთად განთავსდნენ.

პროექტის ღირებულება 159 მილიონ დოლარს შეადგენს, რომლის უდიდეს ნაწილსაც სოკი კრედიტის სახით აიღებს.

ოთხ შენობას, რომლებსაც სოკი ოფისებად იყენებს, დემონტაჟი ჩაუტარდება, ხოლო შატო დე ვიდის ისტორიული რეზიდენცია ხელშეუხებელი დარჩება.

ბეჭან დოლიძე

◎ ჩოგბურთი

ჯოკოვიჩი კარლოვიჩთან დამარცხდა

მსოფლიო რეიტინგსიის ლიდერი ნოვაკ ჯოკოვიჩი ყატარის ქალაქ დოჰას Qatar ExxonMobil Open-ის ნახევარფინალში ვერ გავიდა. „ნოლეს“ ხორვატმა ივო კარლოვიჩმა 6:7, 7:6, 6:4 მოუგო. შეგახსენებთ, რომ გუშინ კარლოვიჩმა ნიკოლოზ ბასილაშვილს სძლია.

სერბულ-ხორვატულმა დაპირისპირებამ 2 საათსა და 15 წუთს გასტანა. კარლოვიჩმა 21 ეისი შეასრულა და კარიერის განმავლობაში პირველად მოუგო ჯოკოვიჩს. წინა 2 შეხვედრაში ნოვაკი ივოს ამარცხებდა.

ნახევარფინალში კარლოვიჩი ესპანელ დავიდ ფერერს შეხვდება. მეოთხედფინალში ვალენსიელმა გერმანელ დასტინ ბრაუნს ავჯობა.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ვიერი კინაღამ ზღვაში დაიხრჩო

მეძალთანეობით სახელგავარდნილი ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელი კრისტიან ვიერი ცოტა ხნის წინათ კი ამბობდა, ჩემი იმიჯი ყელში მაქვს ამოსული, დღეიდან ქალებში განავარდებას თავს ვანებებ და მეოჯახე კაცის ცხოვრებას ვიწყებო, მაგრამ ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა.

როგორც დათვი არ მოიშლის პანტის ჭამას, ისე ვიერი ვერ შეელევა ქალებში გახვანხვალებას, ცოტა ხნის წინათ კი ერთ-ერთი ასეთი გაშტრიალება კინაღამ სიცოცხლის ფასად დაჯდომია.

ვიერის სამ იტალიელ მეძავთან ერთად საკუთარ იახტაზე მოუნდომებია გართობა და ისეთ შტორმში მოყოლილა, ყოფილმა მობურთალმა და მისმა თანმხლებმა ქალებმა კინაღამ პირდაპირი რეისით ჯოჯოხეთში ამოყვეს თავი.

ვიერის იახტა ჩაძირვას რაღაც სასწაულით გადარჩენია და როგორც „ბობო“ ამბობს, ამ გადარჩენაში მან ღმერთის დახმარება და მინიშნებები დაინახა. ამჯერად საკუთარ მექალთანეობაზე არაფერი დასცდენია, მაგრამ ის კი თქვა, რომ ჩემს ცხოვრებას კარგად უნდა ჩავუფიქრდეო. ჩასაფიქრებელი კი იცოცხლეთ — ბევრი აქვს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რალი

საინსი დაკარს გამოეთიშა



დაკარის რალი — მარათონს კიდევ ერთი ფავორიტი — ესპანელი კარლოს საინსი გამოეთიშა. მეხუთე ეტაპი რუსმა ვლადიმირ ვასილიევმა მოიგო, რბოლას კი ისევ ყატარელი ნასერ ალ-ატია ლიდერობს. მეხუთე ეტაპზე რბოლის მონაწილეებს 458 კილომეტრის გავლამ მოუწია.

ვასილიევი რბოლაში საკუთარი გუნდის „მინით“ ასპარეზობს. მან სტარტიდანვე შეძლო დაწინაურება და ტექნიკური პრობლემის გარეშე პირველმა მიაღწია ფინიშს. მას 20 წამით ჩამორჩა „ტოიოტათი“ მოასპარეზე საუდელი იაზიდ ალ-რაჯჰი, მესამე ადგილზე კი ამერიკელი რობი გორდონი გავიდა. მხოლოდ მეოთხე დრო ჰქონდა ალ-ატიას, რომელსაც ესეც ეყო იმისათვის, რომ თავის უახლოეს მდევარ ჟინიელ დე ვილიერსთან უპირატესობა გაეზარდა.

ფრანგი სტეფან პეტრანსელი „პეჟოს“ ეკიპაჟებს შორის საუკეთესო იყო. საინსს ფინიშამდე 20 კილომეტრიღა ჰქონდა გასავლელი, როცა შეცდომა დაუშვა, ავარია მოუვიდა და რბოლას გამოეთიშა. ავარიამდე ის კვადროციკლს მიჰყვებოდა კუდში, მერე კი, როგორც „პეჟოს“ რელიზში ეწერა, „რაღაცას დაეჯახა“. მანქანა ხუთჯერ ამოყირავდა, თუმცა, ბედად, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და მისი ნავიგატორი ლუკას კრუზი უვნებელნი გადარჩნენ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ საშობაო კონცერტი

სიხარულის დღე სურათების გალერეაში

ყველაფრის შემძლე ადამიანი ამ ქვეყნად არავინაა, ნებისმიერი ჩვენგანის შესაძლებლობები, რაღაცის კეთების უნარი სასრულია, სადღაც ან რაღაცით მთავრდება. ამიტომაც როცა საზოგადოებაში უნარშეზღუდულ პირებზეა ლაპარაკი, ეს მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისით უნდა მივიღოთ – რამდენადმე სახეცვლილად და ვრცლად ეს გახლავთ ის რეფრენი, წითელ ზოლად რომ გაყვა 7 იანვარს, შობის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში გამართულ საზეიმო თავყრილობას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს გალერეამ წლეულს მეორედ უმასპინძლა და, იმედია, რომ ეს უაღრესად კეთილშობილური წამოწყება მერე და მერე ტრადიციულ საშობაო ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცევა.

„გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ ჯანმრთელობას, სულიერ სიმშვიდეს, ულევ სიხარულს, სიყვარულს, ხვავს და ბარაქას“ – ეს წარწერა ამშვენებდა გალერეის საგამოფენო დარბაზს, რომლის ფონზე დღესასწაულზე მიწვეული საზოგადოება მოხიბლეს თავიანთ მართლაც უზადო ნიჭითა და ამაღელვებელი საშემსრულებლო ოსტატობით შუზღუდული შესაძლებლობების მქონე შემსრულებლებმა.

საშობაო დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ იმის შეხსენება და დანახება იყო, რომ ნამდვილად არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და საზოგადოება უბრალოდ ვალდებულია, ხელი შეუწყოს გარკვეული პრობლემების წინაშე მდგარ პირებს თავიანთი ნიჭისა და უნარის წარმოჩენაში – სწორედ ასეთი იყო მისასალმებელი სიტყვებით გამოსულთა ერთსულოვანი აზრი. მათ შორის იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციის „ნაბიჯ-ნაბიჯ, Step by Step“-ის პრეზიდენტი **გიორგი ქობალია,** ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი **ნინო გულუა,** მისი პარტნიორი ამერიკული ორგანიზაციის „Friends of the United Nations“-ის ვიცე-პრეზიდენტი **რუსუდან გრიგოლია,** რომელიც უკვე 25 წელია ნიუ-იორკში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ბავშვთა სურათების გელერეის დირექტორი **ლია გორგაძე,** უსინათლოთა კავშირის, თბილისის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები. დიდი სიამაყით აღნიშნა, რომ შარშან ანალოგიურ საახალწლო დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა ნიჭიერი ახალგაზრდა **თემურ არაბიძე** გახდა, რომლის საოცრად ემოციურმა ცეკვამ პოპულარულ სატელევიზიო პროექტ „ნიჭიერში“ გულგრილი არც ერთი მაყურებელი არ დატოვა. ასე იყო იმ დღესაც – თავის პარტნიორთან ერთად მან დამსწრე საზოგადოების მქუხარე ტაში დაიმსახურა და ფინალში გამარჯვების გულწრფელი სურვილებიც გაიყოლა.

ამასთან დაკავშირებით, უპრიანია დ. ლესინგის ერთი ცნობილი გამოთქმის გახსენება: **„ნებისმიერ ადამიანში შეიძლება გაიფურჩქნოს ასობით მოულოდნელი ნიჭი და შესაძლებლობა, თუკი მას ამის წარმოჩენის შესაძლებლობას მივცემთ“.**

ცალკე მინდა გამოვყო ქალბატონ ლია გორგაძის მორიდებული მიმართვა დედაქალაქის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელობისადმი, სპონსორებისადმი – საქმე ის არის, რომ სურათების გალერეა, რომელიც მომავალი თაობების ესთეტიკური აღზრდის მხრივ უაღრესად დიდ და კეთილშობილურ საქმეს აკეთებს, შეზღუდული უნარის მქონე პირთათვის ადაპტირებული არანაირად არ არის, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. თავად გალერეას კი, მწირი ბიუჯეტის პირობებში, ამის გაკეთების შესაძლებლობა არა აქვს.

ეს თხოვნა, რომელსაც გაზეთის რედაქციის, სრულიად ჟურნალისტთა კორპუსის სახელით ვუ-ერთდები, დარწმუნებული ვარ, ადრესატებს აუცილებლად მიაგნებს.

უნდა აღინიშნოს სამამულო „ნაბიჯ-ნაბიჯ“, Step by Step“-ის პარტნიორი ამერიკული ორგანიზაციის „Friends of the United Nations“-ის სასიკეთო საქმეები. საქართველოში ის 2011 წელს დარეგისტრირდა, თუმცა კი, დამფუძნებლები და წევრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემების გადაჭრაზე დიდი ხნის მანძილზე მუშაობდნენ. ამ ორგანიზაციის მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს ხელი შეუწყოს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში, დახმარება გაუწიოს მათ ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, ასევე საზოგადოებაში ინტეგრაციას. 2013 წელს ორგანიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ნიკ-იორკში ჩატარებული ადამიანთა უფლებების დაცვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. 2013 წლის სექტემბერში კი დედაქალაქის მერიის მხარდაჭერით თბილისში პირველი ყოველწლიური კონფერენცია ჩატარდა, რომლის თემა იყო „ხელოვნება და ტექნოლოგია – იმედის გზა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის“. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემების თაობაზე საზოგადოებრიობის ინფორმირების გარდა, კონფერენციას სავსებით კონკრეტული შედეგებიც ჰქონდა: მასში მონაწილეობა მიიღო იაპონური ნორიკო ინამორის ფონდის 21-კაციანმა დელეგეციამ, რომლის წევრებმა – საკუთარი ხარჯით! – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ეტლები ჩამოიტანეს.

საშობაო კონცერტზე, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უამრავმა ნორჩმა და მოზარდმა შემსრულებელმა მიიღო მონაწილეობა – მათ იცეკვეს, იმღერეს, წაიკითხეს ლექსები, დამსწრეებს თავიანთი სხვა შესაძლებლობებიც გააცნეს – ყველანი მოხიბლულები დავრჩით პატარა ხელოვანების მიერ ოსტატურად შექმნილი კედლის ნოხებით და ქეჩის ფარდაგებით, ნაქსოვი ნახატებით, ორიგინალური ნაძვის ხეებით, მათი მოსართავი სათამაშოებით, მოქარგული ბალიშებით, მცირე ქანდაკებებით, მათ შორის, სვანური კოშკით, სოფლის სახლებით, ნატვრის ხით...

ამ მართლაც არაჩვეულებრივი საზეიმო კონცერტის ყველა მონაწილეს, მიწვეულ პატარებსა და მოზარდებს, ღონისძიების მხარდამჭერებმა და სპონსორებმა, კერძოდ, თბილისის მერიამ და საკრებულომ, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გელერეამ, კომპანიებმა „ავერსი ფარმამ“, „ბარამბომ“, „ნესტლემ“, „ტექნო ბუმმა“ და „ნინო ქარდავას სტომატოლოგიურმა კლინიკამ“ საშობაო საჩუქრები გადასცეს.

ოთარ ტურაბელიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ბოლოთქმის მაგიერ: ვფიქრობ, არ შეცვდები თუ ვიტყვი, რომ დედაქალაქის მერია და საკრებულო, ბიზნესის წარმომადგენლები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდების (და არა მარტო მათ!) წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში გაცილებით უფრო აქტიურად უნდა იყონ ჩართულები, ვიდრე ერთ, რაგინდ დიდებულ და მომხიბლავ დღესასწაულში მონაწილეობაა. ამის აუცილებლობაზე თუნდაც ის გარკვეულწილად გულის დამწყვეტი გარემოებაც მეტყველებს, რომ ნორჩი შემოქმედების ნამუშევრების გაყიდვიდან ერთობ მწირი თანხა შეგროვდა...

არადა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერა საზოგადეობის ხელში არსებული ყველა რესურსით, დარწმუნებული ვარ, მისი თითოეული წევრის ერთ-ერთი უწინარესი ვალია. აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაბიჯ-ნაბიჯ, Step by Step“-ს შემდგომი მოღვაწეობის ძალიან მნიშვნელოვანი, საგულისხმო გეგმები აქვს, რომელთა შესახებ ახლო მომავალში გვექნება ლაპარაკი.

ო. ტ.

გახსენება

ელვერ კუპაბაძის გაუსაძლისი მონაბრება

ჩვენო საყვარელო **ელვერ,** 12 იანვარს სამი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც სრულიად მოულოდნელად ზესთასოფელში გადაინაცვლე და დიდსა თუ პატარას, შინაურსა თუ გარეულს, ყველას გული დაწყვიტე. მეტად რთული აღმოჩნდა შენი თბილი სიტყვის, თანადგომისა და განუმეორებელი ღიმილის გარეშე ცხოვრება, რომელთაც ყველას უშურველად უნაწილებდი ხოლმე და რომლებიც ყველა გასაჭირს გვიადვილებდა და იმედით გვავსებდა არა მარტო შენი ოჯახის წევრებს, არამედ ყველას, ვინც შენს გარშემო ტრიალებდა და ვისაც ერთხელ მაინც გამოუცდია საქმეში შენი ბოლომდე უღალატოდ გვერდში დგომა.

ადრე თუ გვიან გარდაცვალება რომ კაცთა წესია, ყველას მოგვეხსენება, მაგრამ შენ, სიცოცხლითა და მუდამ ჭაბუკური ენერგიით აღსავსე, თუ ასე ახალგაზრდა დაგვტოვებდი, ვერაფრით წარმოვიდგენდით, მაგრამ უფალმა სხვაგვარად ინება და თავისთან მოგიხმო...

მამაზეციერს შევთხოვთ, სასუფეველში დაამკვიდროს მუდამ სიკეთის კეთებისაკენ მიდრეკილი შენი სული!

მერი, მევლუდ, თეონა, თორნიკე, ლოტბერდ და ელზა კუპატაძეები.

◎ ინფორმაცია

დაკავებულნი არიან ყალბი ფულის გასაღებისთვის

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული რუსლან გ. და 1986 წელს დაბადებული ელვინ კ. ყალბი ფულის და ფასიანი ქაღალდის დამზადების და გასაღების ბრალდებით დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა რუსლან გ-ს პირადი ჩხრეკისას აშშ-ის 50 ცალი ყალბი ასდოლარიანი კუპიურა, ხოლო ელვინ კ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას აშშ-ის 45 ცალი ყალბი ასდოლარიანი კუპიურა ამოიღეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები აღნიშნული კუპიურების გასაღებას საქართველოსა და უკრაინაში აპირებდნენ.

ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული 95 ცალი ასდოლარიანი კუპიურა არ შეესაბამება აშშ-ის ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ გამოშვებულ, ანალოგიური ღირებულების მქონე კუპიურებს და დამზადებულია კუსტარულად - ფერადი სამრავლებელი ტექნიკის გამოყენებით.

ქუთაისში ჩინელმა ბორდელი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ქუთაისში ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით 1975 წელს დაბადებული, ჩინეთის მოქალაქე პინგაი ტ. დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა №12-ში ფართი იქირავა, ე.წ. ჩინური მასაჟის სალონი გახსნა, რეალურად კი სალონში მომუშავე, ჩინეთის რესპუბლიკის მოქალაქე ქალბატონებს გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ ფართს პროსტიტუციისთვის გადასცემდა.

სამართალდამცველებმა სალონში მომუშავე ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს.

დედამიწის ზურგზე

ბრიტანელი სპეცსამსახურები დასავლეთის ქვეყნებზე ახალ ტერორისტულ შეტევებს ელოდებიან

მ.15-ის მონაცემებით, „ალ-ქაიდა“ გეგმავს შეტევებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასა და ღირსშესანიშნაობებზე. თანაც ტერორისტების მოქმედებას შეიძლება თან ახლდეს მასობრივი მსხვერპლი. გაძლიერებულია უსაფრთხოების ზომები რკინიგზის სადგურებსა და სხვა სატრანსპორტო კვანძებზე.

ისლამისტებმა საფრანგეთში ორი ქალაქის საიტებზე კიბერშეტევა მოაწყვეს

საფრანგეთის ორი ქალაქის ეზანვილისა და გუსეინვილის საიტები დაამსხვრიეს ჰაკერებმა, რომლებმაც მასზე „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფების სიმბოლიკა განათავსეს, აგრეთვე მუქარები მთელი საფრანგეთის მისამართით.

ჩრდილოეთი კორეის ხელისუფლებამ რუსეთს სთხოვა რეაქტიური გამანადგურებლები სუ-35

ცენტრალური გაზეთის აზრით, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას „შეუძლია აწარმოოს სხვადასხვა შეიარაღება დამოუკიდებლადაც, მაგრამ გამანადგურებლების მშენებლობა მოითხოვს უფრო თანამედროვე ტექნოლოგიებს, ამიტომ ჩრდილოეთი ეძებს დახმარებას რუსეთის მხრიდან“. სხვათა შორის, მოსკოვი ძნელად რომ დათანხმდეს ამ ნაბიჯზე, ნათქვამია სტატიაში.

ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილმა ხელმძღვანელმა მხარი დაუჭირა რუსეთის ტერიტორიის გაზრდას: „დიახ, ყირიმი — ჩვენია“

იურკანსმა აღიარა, რომ თავს მიაკუთვნებს ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც მხარს უჭერენ ნახევარკუნძულის მიერთებას რუსეთის ფედერაციასთან. როდესაც წამყვანის შეკითხვას უპასუხებდა — „ყირიმი — ჩვენია, თქვენი აზრით, თუ ყირიმი იმათია?“, ექს-მინისტრმა თქვა: „ყირიმი — ჩვენია, იმიტომ, რომ ყირიმელებს ეს უნდოდათ“.

სპანგორდი


„ხატოვანი თქმა“
დაშინების ცდა
„ქმნა ... სამართლისა“
გუნებრივი სალეგავი ... ვარდანაშვილი
ფილმი „... მზე“
მორჩილი
ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა
ორთაბრძოლა იარაღებით
ჩეხოვი — „... ვანია“
პიანისტი ... ელინგტონი
„თავში ქვა იეც, და ... ჰქენი!“
სოფელი გარდაბნის რაიონში
ფლოქვზე დასაპრავი
მარდი
ქვის ფილა ნარწერით
დიდი კოლონიური სახელმწიფო
...
არაფატი
უძრავ-... ქონება
პარკოსანი მცენარე
„ქურდს ... უნდა და გნელი ღამეო“
ცალკეული შემთხვევა
სახელმწიფო გარამდებელი სასამართლოზე
ფულის ერთეული მექსიკაში
მოკლვარი, მნვრთნელი იაპონიაში
ფუტკრის ორგანო
...
ჯუსლინი
„აბანოში გამოჩნდება ... შენი ვაქცაცობა“
სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით
არისტოკრატ. წოდებულება ინგლისში
თავის კანი თმეზიანად
დეკორატიული მცენარე
წამოქაჩილი ორატორის მიმართ
მინის სახვნელი მანქანა
ფრანგი ფიზიკოსი
ქალაქი იაპონიაში
ტლაპო
ზანგი მარტინ ლუთერ ...
ტიბეტური ხარი
კარგი ცხენი
... ჯიგარხანიანი
მისი დედაქალაქია ბეირუთი
კვამლი
პარკოსანი მცენარე
თევზი
...
ჩაპლინი
„P“-ს სახელწოდება ლათინურში
ქალაქი პოლონეთში
ჭადრაკის ფიგურა
მინის გრტყელი სახურავი
„რამდენიმე ინტერვიუ ... საკითხებზე“
ქვესკნელის ქალღმერთი
გარეგნული შესახედაობა
კარგი (საუბარ.)
განვითარების ზენიტი
საუბრის საგანი
შურიკის სატრფო (კ/ფ)
ეგრაული ხმიადი
ანტილოპა
„... ვენახი შეჭამა“
ავტომობილი
საკრავი ეკლესიაში
„დაბნელება საქართველოში“
საქუდე ქეჩა
საბულგარეთის ანგარიშის შემოწმება
ფრე
ქურციკი
დაქვემდებარებულ ორგანოთა რგოლი
არსენალი (ძვ.)

ციცხალი ანეკდოტები

— **პეტკა** რად გაექეცი პატარძალს მმაჩის ბიუროდან?

— „გმირი დედის“ ორდენით მოვიდა და...

* * *

მიხო მაროს ვალსს ეცეკვება.

— მარო, ერთი წუთით გავალ და უცებ დავბრუნდები! — ეუბნება მიხო, რომელიც შარდის ბუშტმა შეაწუხა.

ხუთ წუთში მიხო კარგა გაწუწული დაბრუნდა.

— რა მოხდა, გარეთ წვიმს?!

— არა, ქარია.

* * *

— **მორჩა**, ძვირფასო, გადაწყვეტილება მივიღე — სმას თავს ვანებებ! — კატეგორიულად ეუბნება პეტკა ცოლს.

— როგორ? რატომ? აწი ვინ დამიძახებს მზეთუნახავს?

* * *

— **რით** განსხვავდება ძარცვა ბანკის მომსახურებისგან?

— ბანკში ქვითარს იძლევიან.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24